სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 ნოემბერი 2003 №208 (1979) ფასი 50 თეთრი

რაგბის კავშირი კლოდ სორელს ვერ ელევა
ბევრი „წადი კლოდ“ ერთი „დარჩი კლოდის“ წინააღმდეგ

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

ზაზა ქასაშვილი

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

კლოდ სორელი და ბერნარ შარეირი

როგორც ირკვევა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს კვლავ კლოდ სორელი გაწვრთნის, ალბათ კიდევ ოთხი წლით. ესე იგი, მომავალ მსოფლიოს თასამდე ის უთავკაცებს „ლელოებს“ და არა ვინმე სხვა.

ვერც სორელთან და ვერც ნაკრების სხვა ხელმძღვანელებთან ავსტრალიაში დაკავშირება ვერ ხერხდება, ხოლო იქ მყოფი მორაგბეები ბევრს ვერ გვეუბნებიან. ეს ორი დღეა, მობილურები გამორთული აქვთ და თათბირობენო — ამბობენ ავსტრალიიდან დღე-დღეზე ასაბარგებელი ბორჯღალოსნები.

კლოდ სორელის ნაკრებში სავარაუდო დარჩენის ცნობა კი ნაკრების ყოფილი კაპიტნის, საფრანგეთში მყოფი ლევან ცაბაძისგან მოდის, უფრო ზუსტად, ფრანგულ გაზეთ „ეკიპიდან“.

„ეკიპში“ ვკითხულობთ — „საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა მსოფლიოს თასზე ურუგვაისთან მარცხის მიუხედავად კლოდ სორელს ნაკრებში ოთხი წლით დარჩენა შესთავაზა. სორელს ჯერ არ უთქვამს პასუხი. ქასაშვილი ამბობს, რომ ეს საკითხი ორ თვეში გადაწყდება...

სორელისგან განსხვავებით, ნაკლებად ლმობიერად მოექცნენ მეორე ფრანგ სპეციალისტს, რუმინეთის ნაკრების მწვრთნელ ბერნარ შარეირს, რომელიც ნამიბიასთან დამაჯერებელი გამარჯვების მიუხედავად მოხსნეს...“

შარეირის ამბავი ნაკლებად გვაღელვებს. ჩვენ ბორჯღალოსნების თავკაცის ამბავი ვიკითხოთ. აგერ, როგორც ირკვევა, საქართველოს ნაკრების მეთაურის სკამზე ისევ სორელი ჯდება. ჯერ არ მოუფიქრებიაო, მაგრამ ვინ იცის, ქართული რაგბისთვის ეს საჭირბოროტო საკითხი უკვე გადაწყვიტეს იქ, ავსტრალიაში.

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

გუშინ „ეროვნულზე“. „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“ 3:2. თბილისელთაგან სამჯერ შეღონებული „ბათუმის“ მეკარე ზურაბ ქვაჩახია

ცაკარიასმა ლოკომოტივი თვალეგზე გამოასხელა



ანს ოპოზ
ვშობის
ვუდური
წევნით
ლი ბო
ბევრ
ტურის

ᲡᲞ

ᲠᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ ᲨᲢᲐᲠ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕ“ – „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ“ ᲛᲐᲥᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲓᲦᲔᲡ ᲐᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲗᲐᲜ“ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ინგლისი
II დივიზიონი. XVII ტური
რეძსემი 0:1 კოლჩესტერი

გერმანია
II ბუნდესლიგა. XI ტური
არმინია 1:3 კოტბუსი
აუე 1:1 მაინცი
ლიუბეკი 4:1 ალენი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XIV ტური
კიოლნი (მ) 2:0 დინამო
სამხრეთ რეგიონალლიგა
XIV ტური
ერფურტი 2:2 ფოიხტი
აალენი 5:2 შტუტგარტი (მ)

საფრანგეთი
II დივიზიონი. XIV ტური
კლერმონი 0:4 ლორიანი

ჰოლანდია
I დივიზიონი. X ტური
როდა 5:1 დენ ჰაააგი
II დივიზიონი. XIII ტური
ჰერაკლესი 2:2 გრაასფსხაპი
ემმენი 3:1 ჰელმონდი
აპელდორნი 1:2 სპარტა
ეძსელსიორი 2:0 ვეენდამი
ვენლო 7:0 სიტარდი
დორდრეხტი 2:3 იგლსი

ბელგია
I დივიზიონი. XI ტური
მუსკრონი 0:1 ანდერლეხტი
ლიერსი 0:0 გენტი

ირლანდია
პრემიერლიგა. XXX ტური
ბოჰემიანსი 1:0 კორკი
უკდ 1:1 შემროკი

პორტუგალია
I ლიგა. გადადებული მატჩი
პორტუ 1:0 ნასიონალი

ავსტრია
I დივიზიონი
ლუსტენაუ 2:2 ვიორგლი
კაპფენბერგი 3:1 აუსტრია (ლ)
ბსკ 2:2 ლეობენი
ვაკერი 1:0 რიდი
ლინცი 1:2 ინტერვეტენი

შვეიცარია
ჩემპიონატი
ბელინცონა 3:2 ვინტერთური
კრინსი 1:0 ბადენი

თურქეთი
სუპერლიგა
ბეშიძთაში 0:0 გალათასარაი

სლოვენია
სიმოობილლიგა
მარიბორი 1:0 კოპერი

სერბეთი
I ლიგა
პარტიზანი 3:0 ზეტა

უნგრეთი
ბორსოდილიგა
დებრეცენი 3:3 უიპეშტი

რუმინეთი
A დივიზიონი
გლორია 1:1 დინამო

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

საქართველოს უმაღლესი 15 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

15 ტური

კამპუში და ტყებუჩავა დაამიგოვდნენ

გიორგი ვაშაკიძე ფოთიდან



ბაბუნა ბურთიაშვილის ფოტო

შოთა ბაბუნაშვილი

ქუთათურებმა ნავსი გატეხეს და ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია ფოთში შეწყვიტეს. პირველი გამარჯვება მიითვალა ბრაზილიელმა ჟოაო კამპუშმა და აქვე ვიტყვი, „ტორპედომ" დამსახურებულად მოიგო.

ამჯერად ნამდვილად გაამართლა ბრაზილიელის ექსპერიმენტმა. კამპუშმა ამპლუით ნახევარმცველები — შოთა ბაბუნაშვილი და რომან ახალკაცი თავდასხმაში ათამაშა და მათაც ლომის წილი დაიდეს გამარჯვებაში. ბაბუნაშვილმა ხომ სულაც ღუბლი შეასრულა.

თამაში მასპინძლებმა დაიწყეს, ბურთი მალევე დაკარგეს და ქუთათურებმაც ფოთელებს, რომ იტყვიან, გამარჯობის თქმა არ აცალეს — კოლხები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შეცდნენ და ბაბუნაშვილი მეკარე ბათიაშვილს შეატოვეს. შოთას მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება არ გასჭირვებია — 0:1.

ვერ ვიტყვი, „კოლხეთი" ამ ექსპრეს-გოლმა დააბნია-მეთქი, მაგრამ არც გაუხელებია. პირველ ტაიმში მხოლოდ მიხეილ ქობულაძეს შეეძლო ეხეირა, როცა უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ახლო მანძილიდან სუსტად დარტყმული ბურთი სტურუას ხელებში ჩააბარა. ერთხელაც ზაველ ღაღანიძემ 25 მეტრიდან ჩვეულად, ღონივრად დაარტყა ჯარიმა. სტურუა ამჯერადაც უნაკლოდ გაისარჯა.

ეს იყო და, „ტორპედომ" სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო. მეტოქის კარისკენ დაძრულ ახალკაცს ლაშა ჭელიძემ დროული პასი დააწია, მანაც, საჯარიმოში შესულმა, მარტოდ დარჩენილი ბაბუნაშვილი მოძებნა. აქ კი მასპინძელთა დაცვა აშკარად ჩაფლავდა — შოთას ბურთის მიღება-დამუშავება აცალეს და ქუთაისელმაც ბათიაშვილს შანსი არ დაუტოვა, 43-ე წუთზე 0:2.

პირველ ტაიმს რომ ორბურთიანი სხვაობით მოიგებ, ცხადია, გამარჯვების შანსიც მეტი გაქვს. ჰოდა, „ტორპედომ" მშვიდად გააგორა ბურთი „ფაზისზე". საკუთარ თავში დაჯერებულებმა კამპუშიც დაჯერეს და მანაც მხოლოდ ერთი შეცვლა განახორციელა, ისიც იძულებით. უბერებელმა კახა კვეტენაძემ, რომელიც სტუმართაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო, შეცვლა თავად ითხოვა. ბრაზილიელმა შანსი 16 წლის ნიკა ნადირაძეს უბოძა. ეს ცქნაფა ბიჭიც ცოცხლად ჩაერთო თამაშში. ვერცხლისწყალივით მოძრავ ჩია ნადირაძეს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ერთ ეპიზოდში ბათიაშვილთან პირისპირ დარჩენილს დარტყმისას ძალა არ ეყო.

მეორე ნახევარში მასპინძლებსაც ჰქონდათ ორი კარგი მომენტი — ჯერ რამაზ სვანაძის ფლანგიდან ჩაკიდებულ ბურთზე ქობულაძეს გაუცუდდა მძლავრი თავური, 82-ეზე კი შეცვლაზე შესულმა მიხეილ თაყაძემ „ტორპედოს" კარის ხარიხა შეაზანზარა.

0:2 და დამსახურებული მოგება. *ჟოაო კამპუშმაც*, ეს აღნიშნა პრესკონფერენციაზე ჩემი ბიჭები ძალიან მომეწონნენ, ალბათ მეტოქეზე მეტად გვსურდა გამარჯვებაო.

კოლხთა თავკაცმა *გია ტყებუჩავამ* სამხრეთამერიკელ კოლეგას გულით მიულოცა გამარჯვება. ორივე დიდი ხნის ძმაკაცებივით ჩაეხუტნენ ერთმანეთს. კამპუშმა ტყებუჩავას კომპლიმენტები უძღვნა, მთლიანობაში კარგი, ბრძოლისუნარიანი გუნდი გყავსო და ბოლოს ასე დაემშვიდობა: ADIOS, AMIGO!

ფოთი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 0:2 ტორპედო

0:1, 0:2 ბაბუნაშვილი (1, 43)

კოლხეთი: ბათიაშვილი, ჯ. შალამბერიძე, სვანაძე, მინდაძე (ბაღათურია 46), შ. ლონლაძე, ქუტიძე, მ. ქობულაძე, ლ. მირცხულava (თაყაძე 59), მარგალიტაძე, ღაღანიძე, მალანია (გ. ტყებუჩავა 66)
სათადარიგონი: ჩემია; კრასოვსკი, დ. ნარსია
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

ტორპედო: სტურუა, ხვიდაგანი, მახვილაძე, გოგილაძე, ს. თოდუა, ლ. ჭელიძე, კვეტენაძე (ნადირაძე 72), ნერგაძე, გამზარდაშვილი, ახალკაცი, ბაბუნაშვილი
სათადარიგონი: გ. სიმონიშვილი; გ. ჩიტიანი, ზ. ქუთათელაძე, ბოროშინი, ლაღაძე, ბურჯანაძე
მწვრთნელი: ჟოაო კამპუში

გაფრთხილება: ქუტიძე (26), ლონლაძე (61), სვანაძე (64), ახალკაცი (80)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ი. აფციაური (დუშეთი); ი. კახიანი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ეჯაია; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

ჯარიმა 5-2, კუთხური 5-5, კარისკენ დარტყმა 5-4, კარში დარტყმა 5-3, თამაშგარე 0-8

როგსონია და მრიკსონია

საღორიაზე ბრაზილიელები მრავლდებიან

გუშინ ქუთაისში კიდევ ორი ბრაზილიელი გამოჩნდა — ერიკსონ მარტინიო და რობსონ ლოპესი „ტორპედოს" ახალწვეულები არიან. ქუთათურთა ბრაზილიელმა თავკაცმა ჟოაო კამპუშმა სურვილი ნაწილობრივ აისრულა და გუნდში ჯერჯერობით მხოლოდ ორი თანამემამულე მიიყვანა.

ერიკსონ მარტინიო და რობსონ ლოპესი გუშინვე „ტორპედოს" ბაზაზე დაბინავდნენ. ბრაზილიელები ქუთაისს მოსკოვიდან ესტუმრნენ. ამპლუით ერთი მცველია, მეორე გამთამაშებელი. მათ აეროპორტში „ტორპედოს" დირექტორი მურად ქუთათელაძე დახვდა.

ჩვენ კი საქმეში ინტერნეტიც დავიხმარეთ და რობსონ ლოპესზე გარკვეული ინფორმაცია მოვიპოვეთ, ოღონდ იმაზე თავს ნაღდად ვერ დავდებთ, რომ ეს სწორედ ის, „ქუთაისელი" რობსონ ლოპესია. ერთი სიტყვით, ინტერნეტში „მოხეტიალე" რობსონ ლოპესი ასეთია: სრული სახელი და გვარია რობსონ ლოპეს და სილვა. დაიბადა 1975 წლის 17 იანვარს. სიმაღლე 177 სმ, წონა 70 კილო. თამაშობდა ბრაზილიურ „ატლეტიკო პარანენსეში" და „ვასკუ და გამაში". ბოლოს კი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" ირიცხებოდა ჩვენებურ კლიმენტი წიტაიშვილთან ერთად. რუსეთში ლოპესი „პარანენსედან" გადაბარგდა და ნოვოროსიისკულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რუსულ პრემიერლიგაში რობსონ ლოპესმა 9 მატჩი ჩაატარა.

აი, ეს არის მცირე ინფორმაცია ვინმე რობსონ ლოპესზე, რომელიც დიდი შანსია, რომ სწორედ „ტორპედოში" მისული ბრაზილიელი ნახევარმცველია. მის თანამემამულე ერიკსონ მარტინიოზე კი, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ვიცით, რომ მარტინიო 25-26 წლისაა და დაცვის ცენტრში თამაშობს.

ფაქტი კი ერთია: წარუმატებლობებს მობეზრებული „ტორპედო" გაძლიერებაზე ფიქრობს და საამისოდ მუშაობაც დაიწყო. ორმა ბრაზილიელმა (მწვრთნელებმა) ხომ გუნდს უკვე პირველი გამარჯვებაც გაასინჯეს გუშინ ფოთის „კოლხეთთან". თუმც აქვე ისიც სათქმელია, რომ „ტორპედო" ახალწვეულ ლეგიონერებს, ალბათ, პირველი ეტაპის დასრულებამდე ვერ დაიხმარს. სატრანსფერო ფანჯარა ახლა საგულდაგულოდ ჩარაზულია.

ძახა შალამბერიძე

ოზურგეთი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 800 (ტევადობა 8 000)

მერცხალი 0:0 დილა

მერცხალი: გია გოგუა, კობური (სიამაშვილი 75), მეკვანაძე, გ. ილურიძე, ჭალიაშვილი, გ. წივწივაძე, მებონია, ბართია, ჭინჭარაული, კალანდაძე, გაბედავა (სუქუა 83)
სათადარიგონი: როხაძე, ჯაბუა, ჩიჩუა, მანჯავიძე
მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი

დილა: თ. ილურიძე, ბალაშვილი, რ. საჭაბურიძე, ლომიძე, რაზმაძე (ოლგესაშვილი 54), ზ. ლაცაბიძე, მარლიშვილი (ჯობაძე 75), გ. ჩიტაია, ლ. გოლაშვილი, ა. კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი (ბ. ჩიტაია 63)
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; სანიშვილი, მასურაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ სორგუაშვილი

გაფრთხილება: მებონია (87)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ე. თევზაძე

ჯარიმა 15-11, კუთხური 4-2, კარისკენ დარტყმა 4-3, სარში დარტყმა 3-2, თამაშგარე 1-0

გურულებისთვის სუდია ცუდია

გიჩა ჯანაშია ოზურგეთიდან

„მერცხალი" ქულების შიწ განიავებას აგრძელებს, თანაც ისე, გოლი კვლავაც ვერ გააქვს.

წვიმისგან დამძიმებულ მინდორზე მძიმე ბურთაობაც გაჩაღდა. პირველი ხიფათი მე-17 წუთზე შეიქმნა. ჭინჭარაულმა გაბედავას პასი არ დაუყოვნა. გაბედავამ ბურთი მკერდით კი შეიგდო საჯარიმოში, მაგრამ... იმავე გაბედავას ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრეც შეეძლო გატანა.

მალე „დილას" მიეცა გატანის შანსი. ლაცაბიძე გიორგი ილურიძის მიერ გამოტანილ ბურთს კარისკენ გზავნიდა, თუმც ცაში გატყორცნა.

მეორე ტაიმში გორელებმა თამაშის დალაგება შეძლეს, ოღონდ რეალური ხიფათი მაინც ვერ შექმნეს.

ამასობაში „მერცხალიც" „შეფრთხიალდა" და კალანდაძის პასით გაბედავას გატანის კიდევ ერთი რეალური შანსი მიეცა. პირისპირ დარჩენილმა დარტყმა დაახანა და მეკარეს ზედმეტად დაახლოებულმა ილურიძეს გაარტყა ბურთი.

73-ე წუთზე მასპინძლები აშკარა გოლს გადაურჩნენ. ილურიძემ უხეშად შესცოდა, ბურთი ახალგამოსულ ბექა ჩიტაიას ჩააბარა და მანაც შორეულ კუთხეში მზაკვრულად დაარტყა. ივარგა გოგუამ და ბურთს თითის წვერებით შესწვდა.

ეს იყო და, კიდარაშვილს შეეძლო მახვილი კუთხიდან გატანა, მაგრამ კარის ბადე გარედან შეარხია.

ამ ეპიზოდს ლაცაბიძის და მჟავანაძის შელაპარაკება მოჰყვა და ვიდრე ფანიაშვილი მოშუღართა შერიგებას ლამობდა, ერთ-ერთმა ქომაგმა დამცავი ღობის გადალახვა მოინდომა, თუმც პოლიციელებმა არ დაანებეს.

თამაშის განახლება „მერცხალმა" უმწვავესი მომენტებით აღნიშნა. ჯერ კალანდაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან დაჰკრა ძლიერად, მაგრამ ილურიძეს ვერაფერი ავნო. შეტევის გაგრძელება სიამაშვილმა ითავა და მისი ფლანგური ჩაწოდებისას ჭინჭარაულმა ბურთი ხეირიანად ვერ დაიმორჩილა.

ბოლო წუთებში „მერცხალმა" კიდევ უფრო მოინდომა, მაგრამ ღირებული ვერაფერი შექმნა. ორჯერ ითხოვდნენ ოზურგეთელები პენალტს. პირველ შემთხვევაში ერთ-ერთ გორელს ხელით თამაშს აბრალებდნენ. ფანიაშვილი იქვე იდგა და დუმილი არჩია. მეორედ კი ხუჭუა ისე ხატოვნად წაიქცა, თავა[illegible] ეცინა და მსაჯიც გააცი[illegible]

ნამატჩევს ხალხმა მსაჯ[illegible] ლახად გაიწია, მაგრამ სა[illegible] დამცავებმა კვლავ იყოჩალეს[illegible] აშვილს ამ ორი საპენალტო [illegible] აციის გარდა თამაშის ადრე[illegible] ვრებაშიც სდებდნენ ბრალს[illegible]

„ბათუმის“ კართან მღვრიე წყალში გოლი ირაკლი ვაშაკიძემ (№21) დაიჭირა

ბაჟრი ჯიმლაძის ფოტო

ცაკარიასი ნაცნობებსაც ეწდობა და უცნობებსაც

კობა ინასარიძე

„ლოკომოტივში“ მიბრუნებულმა პერუელმა ცაკარიასმა გუშინ გუნდს ეგებ სწორედ ის სამი ქულა შემატა, რომელიც ზეექსეულში მოსახვედრად გადამწყვეტი იქნება. ბათუმს კი, ბოლო ხანს რომ ყოჩაღობდა, დაკარგულმა ქულებმა, ჩანს, აღმასვლის პერსპექტივა მოუსპო.

ცაკარიასმა თავისი დანატოვარი შემადგენლობიდან ძირითადში ხუთი ფეხბურთელი გაამწესა, ორიც — ბურნაძე და კობახიძე — მოგვიანებით ათამაშა. ვერ ვიტყვით, რომ მატჩის ბედი სწორედ ცაკარიასის ძველმა შეგირდებმა გადაწყვიტეს, თუმც იმ ხუთიდან სამს მატჩზე დიდი გავლენა ჰქონდა, რაც სოსელიას და სალუქვაძის გოლებში აისახა, სირაძემ კი ქვაჩახიას იმდენჯერ დაურტყა, ცოდო იყო, მოედანი უგოლოდ რომ დატოვა. აქტიურად ჩაერთო თამაშში ქოქიაშვილიც, რომელიც ცაკარიასმა მეორე ტაიმიდან ონიანს ამჯობინა მას შემდეგ, რაც „ბათუმმა“ ანგარიში გაათანაბრა, იქამდე კი მასპინძელთა უდიდესი უპირატესობა სულ ერთი გატანილი გოლით გამოიხატა: ქვაჩახიას კართან შექმნილი არეულობით ვაშაკიძემ ისარგებლა, კარის ხაზთან მოტრიალე ბურთს ფეხი ღონივრად მოუქნია და თავისიანები დააწინაურა. „ბათუმს“ სამ წუთშივე შეეძლო გათანაბრება, მაგრამ კაკალაძის ჩინებული გარღვევა და პასი მანჩხავამ გააცუდა, არადა, ორიოდ მეტრიდან ცარიელ კარში ურტყამდა. მერე ისევ ვაშაკიძეს ჰქონდა კარგი მომენტი, ისიც დაუცველ კარში უმიზნებდა, თუმც ბეგლარ თედორაძემ შეუშალა ხელი, ბურთს გადაელობა და კუთხურზე მოიგერია. კიდევ სამი წუთიც და „ბათუმმა“ თავისი მაინც გაიტანა: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შორეულ ძელთან ტანმაღალი გალოგრე დახვდა და თავით შეაგდო.

შესვენებაზე ცაკარიასმა, როგორც ვთქვით, თამაშში ქოქიაშვილი ჩართო, ჩხარტიშვილმა — დარჩიძე. მასპინძლებს შეცვლამ მეტად გაუმართლათ, ქოქიაშვილმა მარცხენა ფლანგი აიკლო, აი, დარჩიძე კი უჩვეულოდ პასიური იყო, მისი უმთავრესი საქმე — პასები — ისეთი ეფექტური ვერ გამოდგა, როგორც სჩვევია.

სწორედ ქოქიაშვილის აქტიურობას მოჰყვა „ლოკომოტივის“ მეორე გოლი. მისი მოჭრილი დარტყმული შორეულ კუთხეში ქვაჩახიამ რის ვაი-ვაგლახით კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებულ ბურთს კი მეკარე ვეღარ შესწვდა და სალუქვაძემ ჩვეულად, თავით გაიტანა. ეს 54-ე წუთზე მოხდა, მალე კი რკინიგზელებმა ერთიც გაიტანეს. სირაძე-სიჭინავა-სოსელიას კომბინაცია მართლაც ლამაზი და გონივრული გამოდგა, შედეგად კი სოსელია მეკარესთან პირისპირ დარჩა, ბურთი თავზე გადაუგდო და თავადვე შეაგორა ცარიელ კარში.



ლუის ცაკარიასი

ბაჟრი ჯიმლაძის ფოტო

„ლოკომოტივის“ თამაში არც ამის შემდეგ განელებულა. მასპინძლებმა ბლომად ხიფათი შექმნეს ქვაჩახიას კართან, მაგრამ ვეღარ ისარგებლეს. სამაგიეროდ კი სულ ბოლო წუთზე რომანაძის ჩინებული გოლი მიიღეს: ბათუმელმა საჯარიმოს ხაზთან იტრიალა და დასატყმელად კარგი პოზიცია რომ გამონახა, ბურთი ცხრიანს დაუმიზნა...

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. მაყურებელი. 500 (ტევადობა 70 900)

ლოკომოტივი 3:2 ბათუმი

10 ვაშაკიძე (36), 21 გალოგრე (45), 24 სალუქვაძე (54), 34 სოსელია (62), 3:2 რომანაძე (90)

ლოკომოტივი:	ბათუმი:
გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ქემოლიძე, გ. ონიანი (ქოქიაშვილი 46), სოსელია (კობახიძე 89), უგრეხელიძე, სირაძე, სიჭინავა, ზამთარაძე (მ. ბურნაძე 81), ნანა	ქვაჩახია, მახარაძე, გუშარაშვილი, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, ქაცარავა (ცანავა 78), მანჩხავა (რომანაძე 78), დუმბაძე, სირბილაძე (დარჩიძე 46), კაკალაძე, ბესიკ თედორაძე
სათადარიგონი: ხაჩირაშვილი; მანწკავა, ხომერიკი, გ. მიქაძე	სათადარიგონი: ი. ბალაძე; ბეგანიძე, მ. სალუქვაძე
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი	მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: გ. კეტაშვილი

ჯარიმა 7-ნ; კუთხური 11-ჭ; კარისკენ დარტყმა 6-4; კარში დარტყმა 6-2; თამაშგარე 2-1

ბოლნისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 500)

სიონი 1:0 სპარტაკი

40 შენგელია (68)

სიონი:	სპარტაკი:
ა. ლაბაძე, ჭიჭვეიშვილი, ხუჯაძე, ბაქრაძე, გაბისკირია, გუჩუა, კოშკაძე, ისიანი, დაუშვილი (გილაური 46), გ. შენგელია, გონჩაროვი (ფანჩულიძე 79)	მამალაძე, დონდოლაძე, ფვანია, წურწუმია, ჩიკვილაძე, ალადაშვილი, ბოლქვაძე, იმნაიშვილი, გ. თოდუა, ტატანაშვილი, კოტრიკაძე (კვერენჩილაძე 67)
სათადარიგონი: ვოლკოვი; დარსანია, კვეკვესკირი	სათადარიგონი: შეფრილაძე; გ. დოლიძე, ებრალიძე, ფირცხალავა, მგელაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია	მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

გაფრთხილება: გუჩუა (48), წურწუმია (63), ბოლქვაძე (64)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

ჯარიმა 9-ნ; კუთხური 9-6; კარისკენ დარტყმა 12-9; კარში დარტყმა 9-9; თამაშგარე 2-4

ბოლნისში ძველი კინო დაატრიალეს

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

ფილმია ერთი — თავმოყვარე იაპონელი იაკუძა უხმლოდ შეეყრება ამერიკელ კაიბიჭს. ჯიუჯიცუ, კარატე, კიოკუშინკაი და ეს იაპონელი ცემით ლამის სულს ამოხდის ამ ამერიკელს. ის მომენტია, იაკუძა სასიკვდილო დარტყმისთვის ემზადება, ამერიკელი რევოლვერს გააძრობს ჯიბიდან და ერთი გასროლით ამდენ ნაჯაფს საიქიოს გაატანს ოპონენტს. ასეთი იყო ჩემი ბავშვობისდროინდელი ერთი ჰოლივუდური ფილმის სიუჟეტი, ზედმიწევნით რომ მიესადაგა გუშინდელი ბოლნისური მატჩის სცენარს.

ბევრის აზრით ქვემოქართლში ტურისტად ჩასულმა აუტსაიდერმა „სპარტაკმა“ მთელი მატჩის მანძილზე გვემა ფავორიტი „სიონი“, ბოლოს კი ტყვია მიიღო მეტოქისგან.

ფაქტია, „სიონი“ გარკვეულწილად დაღმავლობის გზაზეა და ბედს და კალენდარს უნდა უმადლოდეს, გუშინ აუტსაიდერი რომ შეხვდა მეტოქედ.

ახალგაზრდა თბილისელებმა სული და გული ჩადეს ბოლნისურ მატჩში და მინიმუმ ფრეს ნაღდად იმსახურებდნენ.

მივყვეთ მოვლენებს:

მომხდურნი იოლად გაუმკლავდნენ მასპინძელთა ტრადიციულ, საღებიუტო დაწოლას. ოთარ გაბელიას ტაქტიკურად სახეცვლილი გუნდი თავიდანვე ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. თავად განსაჯეთ: „სიონმა“ მეტოქის კარში პირველად 35-ე წუთზე დაარტყა. ეს ჭიჭვეიშვილმა გააკეთა, ბურთი კი იოლად მოიგდო ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ ზურაბ მამალაძემ. ჭიჭვეიშვილის შექმნილი იყო ის ნახევრადსაგოლე მომენტი, „სიონს“ რომ ჰქონდა მე-40 წუთზე — მამალაძემ თითებით კუთხურზე გადააგდო ბურთი. ეს იყო და ეს, პირველი ტაიმის დარჩენილი დრო სტუმრების იყო. „სპარტაკს“, სულ ცოტა, სამჯერ ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი. ჭეიშვილის ბიჭები გააზრებულად, დალაგებულად და კომბინაციურად უტევდნენ თემურ ვოლკოვის სათადარიგო ალექსანდრე ლაბაძის კარს. დაცვაში საქმელოლეული ჩიკვილაძე ხშირად ერთვებოდა თავისიანების შეტევებში. ბევრს მუშაობდა ბოლქვაძეც, ეფექტური იყო კოტრიკაძე, რომელსაც გამუდმებულ დაძაბულობაში ჰყავდა მცველები.

სტუმარს 25-ე წუთზე უნდა გაეტანა — ტატანაშვილმა უხადო პასით მეკარეს დაუპირისპირა კოტრიკაძე. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ თბილისელმა შემტევმა წონასწორობადაკარგულ ლაბაძეს გაარტყა ბურთი. კოტრიკაძეს ამ ეპიზოდიდან წუთის შემდეგაც მართება გატანა, მაგრამ ოთხიოდე მეტრიდან ვერ ივარგა. ტაიმის დამთავრებამდე სამიოდე წუთი რჩებოდა, ბოლქვაძემ ტატანაშვილის ჯარიმიდან ჩაკიდულ ბურთს ჰაერშივე რომ დაჰკრა — „სიონის“ ბედად ლაბაძემ ივარგა. წუთის შემდეგ ბოლქვაძემ და ტატანაშვილმა პოზიციები გაცვალეს და ამ უკანასკნელმა სამიოდე მეტრიდან ვერ იხეირა. ეს მომენტებიც კმარა დასკვნის გასაკეთებლად — „სიონი“ შოკში იყო, რადგან სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქე.

შესვენებისას ოთარ გაბელიამ ცვლილებებს მიმართა — დაუშვილის ნაცვლად მოედანზე შესულმა გილაურმა მარჯვენა ფრთა გადაკეტა, დიდი სამუშაო გასწია უკანდახეულმა ჭიჭვეიშვილმაც და „სპარტაკს“ შეუმცირდა შეტევის შანსი, თანაც თბილისელებს დაღლა დაეტყოთ და მე-60 წუთიდან „სიონმა“ თავისი თამაში იპოვა. ცოტა ხანში კი გიორგი შენგელიამ ესროლა სტუმარს — გაბისკირიას პასით საჯარიმოში შესულმა ფორვარდმა უნაკლოდ დაარტყა და თამაშიც აქ მორჩა.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს შეეძლო კითარების შეცვლა, მაგრამ „სიონმა“ მოღლილი მეტოქე არ გაიკარა და თავადაც ვეღარაფერი დააკლო ახალგაზრდა მეტოქეს.

გუშინ ორივე გუნდმა შავი სამკლავურებით ითამაშა, ბოლნისს ფირუზ რეხვიაშვილი მოუკვდა — 70-იანი წლების „დინამოს“ სანიმუშოდ ჟინიან-ჯიგრიანი ფეხბურთელი და ბოლო დროს „სიონის“ ერთ-ერთი მწვრთნელი. ეს მოგება ფირუზ რეხვიაშვილის ხსოვნას მივუძღვენითო — სხვაგვარად ვერც იტყოდა მატჩის შემდეგ ოთარ გაბელია.

საფეხბურთო კლუბი ბოლნისის „სიონი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გუნდის მწვრთნელი, 70-იანი წლების დინამოელი ფირუზ რეხვიაშვილი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები ვწუხვართ ვეტერანი ფეხბურთელის, ძველი დინამოელის ფირუზ რეხვიაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი. 400 (ტევადობა 3 000)

თბილისი 3:1 მცხეთა

1:0 დავითაშვილი (13), 1:1 პარამონოვი (35), 2:1 ჭელიძე (66), 3:1 გეწაძე (78)

თბილისი: ნაჭყეპია, კვარაცხელია, სიდამონიძე, ლოლაძე, ელიავა, აფციაური (გ. ნოდ. ჭელიძე 55), გოგიტა გოგუა, დ. ოდიკაძე (გეწაძე 59), მესხი, მიკუჩაძე, დავითაშვილი (ხოჯავა 69)
სათადარიგონი: ივარდავა; ყველაშვილი, მიქიაშვილი, მემარნიშვილი
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

მცხეთა: ცინაძე, რაქვიაშვილი, ლ. ამბიძე, ლ. ქებაძე, თირქია (ძაგნიძე 69), ჩაჩუა, გ. ქებაძე (ხიდაშელი 21), ბ. ნოზაძე, ლ. ჩხაიძე (გვენცაძე 71), ავალიანი, პარამონოვი
სათადარიგონი: თ. ოდიკაძე, კირვალიძე, მუშუქია, სუბელიანი
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

გაფრთხილება: ხიდაშელი (45), ჩაჩუა (66), გეწაძე (88)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; **დირექტორი:** ბ. სიჭინავა

ჯარიმა 22-15; კუთხური 3-5; კარისკენ დარტყმა 5-4; კარში დარტყმა 8-4, თამაშგარე 5-4

სულიკო დავითაშვილის ამ მატჩში პირველი და ჩემპიონატში მეთერთმეტე გოლი

დევდარიანმა გამარჯვება გამოიცნო

კახა შალამბერიძე

პირველ წრეში მცხეთელთა მიერ გადათელილთა სიაში „თბილისიც“ იყო. უმაღლესი ლიგის კერკეტკაკალა დებიუტანტებმა იმხანად აუწყობელ-არეულ დედაქალაქელებს „არმაზზე“ დაატოვებინეს სამი ქულა. ახლა კი „თბილისმა“ რევანში აიღო. გიორგი დევდარიანის ბიჭებმა წარმატებული სერია გაგრძელეს და ექვსეულში მოსახვედრად მოზრდილი ნაბიჯი წადგეს.

თამაში კი ისეთი გამოდგა, ბევრს „თბილისის“ მოგებაში ეჭვი შეეპარებოდა. ეს უფრო პირველ ტაიმსა და მეორის საწყის 15 წუთზე ითქმის. ამ ხანში „მცხეთამ“ გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს.

დებიუტანტები მე-13 წუთზე დაითარსნენ. მესხი-მიკუჩაძე-დავითაშვილის სწრაფი სამსვლიანი კომბინაცია მეთხუთმეტე ეროვნულის ბომბარდირმა შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა. „აბრეზასთვის“ ეს მეთერთმეტე გოლია მიმდინარე სეზონში.

თბილისელებს პასუხი დიმიტრი პარამონოვმა გასცა. 35-ე წუთი იყო, როცა ლაშა ჩხაიძის ეფექტურ, ქუსლით პასს ავალიანმა მოუძებნა სწორი გაგრძელება — პარამონოვს გადააწოდა და ამასაც ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია.

ტაიმის დარჩენილი დრო გუნდებმა თანასწორ ბრძოლაში გალიეს. „მცხეთა“ ასეთ შედეგზე უარს არ იყო, „თბილისმა“ კი კბილები მეორე ტაიმისთვის აილესა.

და ვინ მოიგო მატჩი? ვფიქრობ, გუშინ დედაქალაქელებს გიორგი დევდარიანი რომ არ ჰყოლოდათ, სამი ქულის მოპოვება ძალიან გაუჭირდებოდათ. მასპინძელთა ახალგაზრდა მწვრთნელმა მეორე ტაიმში ორი შეცვლა გადაწყვიტა — მოედანზე გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე და რევაზ გეწაძე შეუშვა და ეს მატჩის გადამწყვეტი მომენტები გამოდგა. ორივემ გოლი გაიტანა და „თბილისმაც“ ამოისუნთქა.

მატჩს დაძაბულობა 66-ე წუთზე მოეხსნა. სულიკო დავითაშვილმა მეკარის წინ ჭელიძე მონახა და 2:1.

თორმეტ წუთში გეწაძე გავიდა ცინაძესთან პირისპირ და ეს ისე უცნაურად მოხდა, რომ „შევარდენზე“ კარგა ხანს ვერ დაივიერეს გოლი. მოედნის ცენტრიდან კარისკენ დაძრულ გეწაძეს ხელის შემშლელები იოლად ჩამოშორდნენ. თბილისელმაც 30-ოდე მეტრი ეუოლად ირბინა და კართან მისულს ანგარიშის გაზრდა არ გასჭირვებია.

შეხვედრის დასრულება ფორმალობაღა იყო. თუმც დარჩენილ დროში ერთმა ლამაზმა ეპიზოდმაც გაიელვა — მცხეთელთა მეკარე გიორგი ცინაძემ ორ თბილისელს ზედიზედ დარტყმული ისეთი ბურთები აუღო... მისთვის ტაში ნაღდად ალალი იყო.

დინამო	14	9	3	2	32:6	30
სიონი	15	8	6	1	18:8	30
ვიტ ჯორჯია	13	8	4	1	24:7	28
დილა	15	8	3	4	18:11	27
თბილისი	14	6	3	5	26:17	21
ლოკომოტივი	14	6	3	5	21:17	21
ტორპედო	15	5	4	6	13:16	19
მცხეთა	15	5	2	8	18:33	17
გათუმი	14	5	1	8	17:17	16
კოლხეთი	15	3	3	9	9:21	12
მერცხალი	15	2	4	9	14:29	10
სპარტაკი	15	2	4	9	8:36	10

თბილისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი

ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ნ. კაკულია

დერბი თბილისობას

ჰატარა უპირატესობა და ჩაბარებული ისტორია

მე-15 ტური დღევანდელი ცენტრალური მატჩით ჩამთავრდება — თბილისურ დერბიში ერთმანეთს ლიდერები, პირველ-მეორე ადგილზე წამოჭიმული გუნდები დაეჭიდებიან. ჩვენ კი მათი წამყვანი მოთამაშეების მატჩისწინა ნაუბარს გთავაზობთ:

ვუნარა დეკანოიძეს ფოტო

ბადრი კვირკველიას ფოტოები

პირველი წრის „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“. ლადო ახალაიას არჩათვლილი გოლი

ვლადიმერ გოჩაშვილი, „ვიტ ჯორჯია“

— ორივე ისეთი გუნდია, ჩემპიონობისთვის რომ იბრძვის და თამაში დაძაბული უნდა გამოდგეს. „ვიტ ჯორჯიაში“ საბრძოლო განწყობაა — მზად ვართ, მოვიგოთ.

— პირველ წრეში „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ უგოლო ფრით დამთავრდა, თუმც შეხვედრა „დინამოს“ უპირატესობით წარიმართა...

— მაშინ სტუმრად ვთამაშობდით და 4-5-1 სქემით ვითამაშეთ. ახლა კი შინ გვიწევს მატჩი, უფრო მეტად ვითამაშებთ მოგებაზე და რახან სახლში ვთამაშობთ, ამით პატარა უპირატესობაც გვაქვს — თითქმის წელიწადნახევარია, „შევარდენზე“ ვთამაშობთ და აქ ერთობ შინაურულად ვგრძნობთ თავს.

— ბოლო მატჩებია გოლები გაგაქვს, მანამდე კი შედეგიანობით არ გამოირჩეოდი...

— იმიტომ, რომ ახლა წინ ვთამაშობ, მანამდელ მატჩებში კი, ფაქტობრივად, მარჯვენა მცველი ვიყავი. ჩემი გატანილი გოლები კი თანგუნდელების დამსახურებაა და ბიჭებს მადლობას ვუხდი. ვფიქრობ, ჩემი ადგილი თავდასხმაშია.

— „დინამოსთვის“ კი გოლის გატანა ერთიორად ჭირს...

— ხუთი წლის წინ „დინამოს“ ორი გოლი გავუტანე — 0:2-ს ვაგებდით და გავათანაბრე, მაგრამ რატი ალექსიძის გოლით მაინც „დინამომ“ მოგვიგო.

— ამ შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიას“ შანსებს როგორ შეაფასებდი?

— პროგნოზები და შანსებზე ლაპარაკი არ მიყვარს.

დავით კვირკველია, „დინამო“

— რთული თამაში იქნება, ეს ხომ დერბია. თამაშნაკლული „ვიტ ჯორჯია“ ორი ქულით ჩამოგვრჩება და ყველანაირად ეცდება ჩვენს გადასწრებას. მაგრამ „დინამომ“ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ლიდერია.

— ვის როგორი შანსი აქვს?

— ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა.

— პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიას“ შინ ვერ მოუგეთ. მას შემდეგ „დინამოში“ გარკვეული პრობლემები იყო და როგორ ფიქრობ, „დინამო“ ახლა უფრო ძლიერია თუ პირიქით?

— პირველი წრის მატჩში ლადო ახალაიას ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალეს. ისე კი, როცა დერბია, მხედველობაში არ უნდა მივიღოთ ის, რაც ადრე მოხდა.

— „ვიტ ჯორჯიაზე“ რას იტყოდი?

— ძალიან კარგი გუნდია. ჩვენი მეტოქე ახალგაზრდა ფეხბურთელებით კია დაკომპლექტებული, მაგრამ ამავე დროს გამოცდილი გუნდია — ვიტჯორჯიელები კარგა ხანია, ერთად თამაშობენ და შეთამაშებულები არიან.

— მერედა, რის ხარჯზე შეუძლია „დინამოს“ ასეთ გუნდის დამარცხება?

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია — მან უნდა შეურჩიოს გუნდს მოსაგები ტაქტიკა.

— „ვიტ ჯორჯია“ „დინამოსთვის“ უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა...

— ეს დრო წარსულს ჩაბარდა, კარგა ხანია, „ვიტ ჯორჯიას“ „დინამოსთვის“ არ მოუგია.

დავით თამართაძილაძე

ბანაჩენი
გუნდი გულადი, ფულადი

ლორენის მახრჩობელა „არსენალს“ ყველაზე ძვირი დაუჯდა

პრემიერლიგის მსაჯულებმა 21 სექტემბერის ჩხუბის („მანჩესტერი“ — „არსენალი“) ამბავი საბოლოოდ გაარჩიეს და მუშტის მქნეველი „მეთოფეები“ დასაჯეს.

შეგახსენებთ, რომ პატრიკ ვიეირა რუუდ ვან ნისტელროისთან უხეშობისთვის გააძევეს, ბოლო წუთზე კი ნისტელროიმ პენალტი ვერ გაიტანა და ხუთმა ლონდონელმა შეძახილით, „სამართალმა პური ჭამა!“ — ჰოლანდიელის გასილაქება სცადა. მაშ, ასე:

ლონდონის „არსენალს“ ფეხბურთელებთან უხეირო აღმზრდელობითი მუშაობისთვის 175 ათასი გირვანქა შეაწერეს.

ლორენი — 40 ათასი გირვანქა და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია.

მარტინ კიოუნი — 20 ათასი გირვანქა და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია

პატრიკ ვიეირა — 20 ათასი გირვანქა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია

რეი პარლოუ — 10 ათასი გირვანქა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია

ეშლი კოული — 10 ათასი გირვანქა და სასტიკი საყვედური

„არსენალმა“ ოფიციალური განცხადება ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთია: „ფეხბურთელები გრძნობენ პასუხისმგებლობას და ბოდიშს იხდიან უმსგავსო საქციელისთვის“.

მსაჯულთა გადაწყვეტილება ძალაში 17 ნოემბერს შევა, კლუბს კი გასაჩივრების უფლება აქვს.

ვაჟა ხუციშვილი

43 წელი მარადონას შობიდან

„კვირიდან ოთხშაბათის ჩათვლით ის თავისუფალი იყო და შეეძლო ეკეთებინა, რაც მოესურვებოდა, მაგრამ ხუთშაბათს სრულიად სუფთა უნდა ყოფილიყო“ — თქვა ერთხელ „ნაპოლის“ ყოფილმა პრეზიდენტმა კორადო ფერლაინომ კაცზე, რომელიც მოედანზე ისეთივე თავისუფალი და ლაღი გახლდათ, როგორც კვირიდან ოთხშაბათამდე ნეაპოლში.

1991 წლის ერთ მშვენიერ დღეს დიეგო არმანდო მარადონამ დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა და მილიონერების ქალაქს კოკაინი გადააფრქვია.

გუშინწინ მას 43 წელი შეუსრულდა. არგენტინელის თაყვანისმცემლები ბუენოს აირესში მარადონას სახელობის ეკლესიაში სალოცავად შეიკრიბნენ და კერპს სანთლები დაუნთეს. ამ ეკლესიის მსახურთაოვის წელთაღრიცხვა ქრისტეს დაბადებიდან კი არა, დიეგოს დაბადების დღიდან იწყება და ასეც ამბობენ: 43 წელი მარადონას შობიდან.

„მე ვცხოვრობ, ვარსებობ, ვფიქრობ და ვგრძნობ მას — აღმოხდა 49 წლის მხატვარ სერხიო მარტინესს — არგენტინაში ყოველ ეპოქას თავისი ლეგენდა ჰყავს. ოდესღაც ეს ტანგოს მეფე კარლოს გარდელი იყო, შემდეგ ევიტა პერონი, ახლა კი დიეგო არმანდო მარადონაა“. მოდი და შეედავე.

ვაჟა ხუციშვილი

იმღერე რამე, ტომაშ!
შეიძინეთ ბრდარიჩი ხუთ ევროდ



მიზეზს ვერ ვეტყვით, მაგრამ „ჰანოვერის“ ფორვარდი ტომაშ ბრდარიჩი ბუნდესლიგელ მეკარეებს რაზომლაც გულზე არასოდეს ეხატებოდათ.

ალბათ გახსოვთ, შარშან, ჯერ კიდევ ლევერკუზენის „ბაიერში“ მოთამაშე ბრდარიჩს „ბაიერნთან“ შეხვედრისას, ოლივერ კანმა კისერში ხელი რომ სტაცა. ფეხბურთელმა ნამატჩევს აღიარა, ძალიან შემეშინდა, მეგონა, დამახრჩობდაო.

ამ სეზონში ჰანოვერელი „შალკეს“ მეკარე ფრანკ როსტთან წაკინკლავდა. იგი როსტს ხარივით თავით მიაწვა, რისთვისაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აიკიდა.

ბრდარიჩს დორტმუნდის „ბორუსიას“ ყოფილ მეკარეს იენს ლემანთანაც „ტკბილი“ მოგონებები აკავშირებს, მაგრამ „არსენალში“ გადაბარგებულ ლემანს მოედანზე ველარ ხვდება.

ათვალწუნებულმა ფეხბურთელმა იფიქრა და შურისძიება ორიგინალურად გადაწყვიტა. მან... თავისი სიმღერების ალბომი გამოუშვა, სახელწოდებით „ველური-13“. „ჰანოვერში“ იგი 13 ნომრიანი მაისურით თამაშობს. სიმღერის ტექსტში სამივე მეკარეა გამასხარავებული, მომღერლის კომენტარი კი ასეთია: „ყველაფერი, რაც მოხდა, შევეცადე სიმღერად მექცია, იუმორით მიმეტანა მსმენელამდე“.

ეს ალბომი საკმაოდ იაფია და ოდენ 5 ევრო ღირს.

ქვემოთ ტექსტების შემოკლებულ შინაარსს გთავაზობთ, რითმზე კი უკაცრავად:



ბანზე

გმადლობ, ოლივერ, რომ შემაჯანჯღარე და გამომაფხიზლე.
ვაღიარებ, შენი მეშინია,
მაგრამ რაც უნდა მოხდეს,
სიყვარულით გაუმაძღარ ცხოველად დარჩები.

ლეკანზე

ძვირფასო იენს,
თვალში ძალიან
მომსალდი,
შენთან მხიარულებას
აქვს სულ სხვა ფასი.
მომენატრა შენს
კარში გოლის გატანა
და ლემანის
დალრეჯილი სიფათი.

როსტზე

ძვირფასო ფრანკ, ვწუხვარ, მაგრამ რას იზამ,
მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მაშინ ძალიან გამაბრაზე.
ინტერვიუს დროს ატირდი და დედამ სახლში წაგიყვანა
ზოგჯერ ეულად გრძნობ თავს კარის ხაზზე.
რად გინდოდა მეკარეობა, რად?
მშობლებს ყური რატომ არ დაუგდე?
ბურთმა ყურთან სწრაფად ჩაგინუილა
და შენ ისევ წააგე!

მიდიხარ თუ მოდიხარ?
ბარტეზს აბურთავებენ



„მარსელს“ „მანჩესტერიდან“ ფაბიენ ბარტეზის გადაყვანა ერთი თვის წინ უნდოდა. ინგლისელებმა მაშინ განათხოვებაზე უარი თქვეს, ტრანსფერი გამოისყიდეთო. მხარეები საბოლოოდ ორი კვირის წინ ივჯარაზე მაინც მორიგდნენ და მეკარე სამშობლოში ჩავიდა. იგი მედიას და გულშემატკივრებს წარუდგინეს, მერე კი გუნდთან ერთად ვარჯიშობდა.

„მარსელის“ პრეზიდენტმა კრისტოფ ბუშემ ფიფაში წერილი აფრინა. მეორე მეკარე სედრიკ კარასო ტრავმის გამო დიდი ხნით გამოგვაკლდა და მხოლოდ ვედრან რუნიეს ამარა დავრჩით, ბარტეზის „გაფორმების“ ნება დაგვრთეთო.

ფიფას წესებით, სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე გუნდიდან გუნდში ფეხბურთელის გადასვლა არ შეიძლება. საგანგებო კომიტეტმა ამ წესით იხელმძღვანელა და ფაბიენ ბარტეზს „მარსელში“ თამაშის უფლება ჯერჯერობით არ მისცა, იანვრამდე მოიცადოსო.

ფრანგული კლუბის მწვრთნელი ალენ პერენი კი ჯიუტობს, ფიფადან ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია და, ვიმედოვნებ, რომ საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდებაო.

ვაჟა ხუციშვილი

იტალია

ბაბილა ალიმბარაშვილი

მილანელებს თავს პაველ ნედვედი (მარცხნივ) აატკივებს

ისევ მილანი და იუვე

VII ტური		
ხვალ		
ანკონა	—	სიენა
ბოლონია	—	სამპდორია
ბრეშა	—	პარმა
კიევო	—	ინტერი
ლეჩე	—	ემპოლი
მილანი	—	იუვენტუსი
მოდენა	—	პერუჯა
რომა	—	რეჯინა
უდინეზე	—	ლაციო

სადღეისო ვითარება						
მილანი	7	6	1	0	15:3	19
იუვენტუსი	7	6	1	0	18:7	19
რომა	7	4	3	0	14:3	15
პარმა	7	4	2	1	13:7	14
ლაციო	7	4	1	2	13:9	13
კიევო	7	3	2	2	10:7	11
უდინეზე	7	3	2	2	10:7	11
მოდენა	7	3	1	3	8:7	10
ინტერი	7	2	4	1	6:5	10
სიენა	7	2	3	2	10:7	9
რეჯინა	7	1	5	1	9:10	8
სამპდორია	7	1	3	3	6:10	6
ბრეშა	7	1	3	3	12:17	6
ბოლონია	7	1	2	4	9:12	5
პერუჯა	7	0	5	2	9:15	5
ლეჩე	7	1	0	6	7:18	3
ანკონა	7	0	2	5	4:15	2
ემპოლი	7	0	2	5	4:18	2

დღეს, თბილისის დროით ღამის თორმეტის ნახევარზე მილანში, „სან სიროზე" ერთმანეთის პირისპირ სერია A-ს უტიტულოვანესი გუნდები, „მილანი" (ისევ კახა კალაძის გარეშე) და „იუვენტუსი" წარსდგებიან.

„წარსდგებიან და წარსდგნენ, რა, ეგენიც ხომ იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს" — იტყოდა ჩვენებიანთ გულშემატკივარი და მართალიც იქნებოდა, რადგან ორი გუნდის თამაში ბოლო შვიდი-რვა თვის განმავლობაში მართლაც ბევრჯერ ვნახეთ, ხან ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ხან ამერიკაში ჩატარებულ იტალიის სუპერთასზე და ხანაც სილვიო ბერლუსკონის თასზე, მაგრამ ნუ გვიწყენთ და, „მილანისა" და „იუვენტუსის" ბრძოლა მაინც ელიტარული მოვლენაა. თან ახლა „შავ-წითლებს" და „შავ-თეთრებს" სერია A-ს ცხრილში ლიდერობის ამბავი აქვთ გასარკვევი — ორივე ხომ დაუმარცხებლად მიდის.

„მილნს" ამ შეხვედრაში ფილიპო ინძაგი უბრუნდება, მეწყვილეს, ანდრეი შევჩენკოს გვერდში უნდა ამოუდგეს და იტალიის ყველაზე მტკიცე დაცვას შეუტიოს, შევჩენკოს კი „იუვეს" კარში გოლის გატანა უბრალოდ ჩვეად აქვს.

ჩვეა კარგია, მაგრამ რაღაც-რაღაც ჩვეები „ბებერ ქალბატონსაც" ხომ აქვს? აი, მაგალითად, ბოლო ორი წელიწადია, იტალიის ჩემპიონი ხდება და თუ ამ სეზონის სტარტით ვიმსჯელებთ, ეს ჩვეულება მართლაც რჯულზე უმტკიცესია — ექვსი თამაში მოიგო და „რომასთან" ფრედ ითამაშა. „სან სიროზე" ტრავმის შემდეგ დაბრუნების შანსი ეძლევა ალესანდრო დელ პიეროს, მაგრამ საეჭვოა მარჩელო ლიპიმ იგი მაინცდამაინც „მილანთან" დააბრუნოს, თავდასხმაში უფრო, ალბათ, მარკო დი ვაიოს და დავიდ ტრეზეგეს წყვილს ათამაშებს. საინტერესოა, ვინ დაუდგება ჯენარო გატუზოს, ედგარ დავიდსი თუ სტეფან აპია? თუმცა, არანაკლებ საინტერესოა, ვინ შეეცდება იუვენტუსელი პაველ ნედვედის შეჩერებას — ჩეხი „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთის უალტერნატივო კანდიდატია.

აი, ზემოთ ნახსენები „რომა" კი, მიმდინარე სეზონში „იუვესა" და „მილანზე" ცუდად რომ არ თამაშობს — „რეჯინას" მასპინძელია. ეს თამაში ხვალისა გახლავთ, ჩვენი დროით ექვსზე დაიწყება. „რომას" წინა ტურში დასწყდა გული „ინტერს" მილანში რომ ვერ მოუგო და ახლა მდგომარეობის გამოსწორებას ეცდება. რომაელთა შორის ალბათ, ისევ გამოჩნდებიან თავდამსხმელები, ვინჩენცო მონტელა და იონ კარეუ, თუმცა ფაბიო კაპელოს ხელთ ფრანჩესკო ტოტი და ანტონიო კასანოც ხომ არიან, ყველას ერთად თამაში კი შეუძლებელია.

„რომას" ნახევარდაცვაში სულ უფრო შინაურულად იქცევა 20 წლის დანიელე დე როსი. მეტოქე „რეჯინა", კი თავს არანაკლებ შინაურულად ცხრილის შუაში გრძნობს — სადაც „რეჯინა" იქვეა „ინტერი", რომელიც ვერონაში „კიევოს" ხვდება. ესეც ხვალის, ოღონდ თორმეტის ნახევრიანი მატჩია, რომელშიც მოგება ყველაზე მეტად „შავ-ლურჯების" ახალ მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის სურს. „კიევო" ცხრილში „ინტერზე" ქულით წინაა და არც ძაკერონისა ეშინია და არც „ინტერის". „კიევოს" თავკაცს, ჯიჯი დელ ნერის იმდენი უძახეს „ინტერის" მომავალი მწვრთნელი გახდებიო, რომ ვინ იცის, ხვალ საღამოს საგანგებო ჯიბრითაც ათამაშოს თავისი ბიჭები, აქოდა ჩემს თავს ძაკერონი როგორ ამჯობინეთო.

ინგლისი

ირაკლი ბერიძე

წაქცეულ ლიდსს წინლს არსენალი მიაყოლებს

XI ტური		
დღეს		
ევერტონი	—	ჩელსი
ლიდსი	—	არსენალი
მანჩესტერი	—	პორტსმუთი
მიდლსბრო	—	ფულჰეზი
ნიუკასლი	—	ასტონ ვილა
საუთჰემპტონი	—	სიტი
ტოტენჰემი	—	ბოლტონი
ხვალ		
ფულემი	—	ლივერპული
ლესტერი	—	ბლეკბერნი
ზეგ		
ბირმინგემი	—	ჩარლტონი

სადღეისო ვითარება						
არსენალი	10	7	3	0	19:8	24
ჩელსი	10	7	2	1	20:9	23
მანჩესტერი	10	7	1	2	18:6	22
ბირმინგემი	10	5	4	1	9:5	19
ფულემი	10	5	3	2	20:13	18
საუთჰემპტონი	10	4	4	2	10:5	16
სიტი	10	4	3	3	20:12	15
ნიუკასლი	10	4	3	3	15:12	15
ჩარლტონი	10	4	3	3	14:13	15
ლივერპული	10	4	2	4	15:11	14
პორტსმუთი	10	3	3	4	11:12	12
ტოტენჰემი	10	3	3	4	10:13	12
ევერტონი	10	2	4	4	12:14	10
ასტონ ვილა	10	2	4	4	8:12	10
ფულჰეზი	10	2	3	5	7:21	9
ბლეკბერნი	10	2	2	6	15:19	8
მიდლსბრო	10	2	2	6	7:15	8
ბოლტონი	10	1	5	4	8:19	8
ლიდსი	10	2	2	6	9:21	8
ლესტერი	10	1	2	7	14:21	5

რაღა დაგიმალოთ და, ტურის მთავარი მატჩის გამორჩევა ჭირს. ეს რომ წინა სეზონი ყოფილიყო, „ევერტონი" — „ჩელსის" გამოვარჩევდით. მაგრამ „ევერტონი" შარშანდელივით ყოჩაღი გუნდი ვეღარაა. შარშანწინდელი სეზონი რომ ყოფილიყო, „ლიდსი" — „არსენალი" გამოდგებოდა გამოსარჩევად, მაგრამ „ლიდსი" დღეს უსახსრობით და უქულობით სულს ღაფავს და ყველასთვის იოლი ლუკმაა.

შედარებით გამორჩეული თამაში „ფულემი" — „ლივერპული" უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ლონდონელებმა წინა ტურში თვით „მანჩესტერი" დააჩოქეს.

წინა სეზონში ლივერპულელებმა „ლოფტუს როუდზე" 3:2 მოიგეს, მაგრამ ახლა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ბოლო ორ მატჩში „ლიდსის" და „ბლეკბერნის" დამარცხების მიუხედავად, ჟერარ ულიეს გუნდი ძალიან უბრალო ფეხბურთს თამაშობს, „ფულემს" კი, როგორც მოგახსენეთ, „მანჩესტერი" ჰყავს დამარცხებული. ამასთანავე, სტუმრებს დისკვალიფიცირებული ელ-ჰაჯი დიუფი და დაშავებულები, სემი ჰიიპია და ფლორენ სინამა-პონგოლე არ ეყოლებათ.

„მანჩესტერი" „პორტსმუთს" მასპინძლობს. ეს მატჩი იმითაც იქნება საინტერესო, რომ „ოლდ ტრეფორდზე" იქაურთა ძველი კერპი ტედი შერინგემი დაბრუნდება.

„პორტსმუთმა" სეზონი რიხით კი დაიწყო, მაგრამ ბოლო შვიდ პრემიერლიგურ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. თუმცა შუა კვირაში თასზე „ნოტინგემ ფორესტის" ძლევამ გუნდს ეგებ რწმენა დაუბრუნოს. მასპინძლებს ამ შეხვედრაში პოლ სქოულზი დააკლდებათ, სტუმრებს კი ალექსეი სმერტინი.

ჩანს, „ჩელსიმ" იოლად უნდა დაამარცხოს „ევერტონი". წინა სეზონში ეს გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ლონდონელებმა სამივეჯერ მოიგეს, 11 გოლი გაიტანეს და 3 გაუშვეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ჩელსი" შარშან ახლანდელზე უფრო სუსტი იყო, „ევერტონი" კი უფრო ძლიერი, დასკვნის გამოტანა არ უნდა გაჭირდეს. დავძინოთ, რომ „ლივერპულელებს ბოლო სამ პრემიერლიგურ შეხვედრაში გოლიც არ გაუტანიათ.

„არსენალს" ალბათ პატრიკ ვიეირა არ ეყოლება, მაგრამ საფიქრებელია, რომ „ლიდსს" ისედაც დაამარცხებს. ლიდსელებს, შეგახსენებთ, საშინელი კვირა ჰქონდათ, რაკი 80-მილიონიანი ვალის აღიარება მოუხდათ. ამბობენ, ლიდსელები იანვარში კიდევ ვინმეს გაყიდიან და ისე შეეცდებიან ვალების ნაწილობრივ გასტუმრებასო. ეს კი ნიშნავს, რომ გუნდი ახლანდელზე უფრო დასუსტდება.

„ნიუკასლ იუნაიტედმა" ზედიზედ ხუთ სალიგო მოგებას შუა კვირაში პირველდივიზიონელ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" საშინაო მარცხი მიაყოლა. ამ ტურში „კაჭკაჭთა" მეტოქე „ასტონ ვილაა", რომლის საქმეც პირიქითაა. ბირმინგემელებს ბოლო ოთხ პრემიერლიგურ მატჩში ერთიც არ მოუგიათ, სამაგიეროდ, თასზე „ლესტერი" დაამარცხეს. მასპინძლებს დღეს საკარაუდოდ ჯონათან ვუდგეიტი, კრეიგ ბელამი, კირონ დაიერი და ლი ბოიერი არ ეყოლებათ.

გვარიანი ბრძოლა უნდა გაიმართოს ორშაბათს, როცა „ბირმინგემ სიტი" „ჩარლტონ ატლეტიკს" უმასპინძლებს. საქმე ის გახლავთ, რომ ბირმინგემელები ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ და ისიც „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდნენ. მეორე მხრივ, „ჩარლტონს" აგერ უკვე ოთხი თამაშია, არ წაუგია. თანაც სტუმართა მენეჯერი ალან კერბიშლი ერთ დროს სწორედ „ბირმინგემს" წვრთნიდა და მეტოქის ავან-ჩავანი კარგად მოეხსენება.



წინა სეზონში ტიერი ანრის „არსენალმა" „ლიდსი" „ელან როუდზე" 4:1 შეარცხვინა

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲘᲥᲘᲚᲐᲫᲔ



იუპ ჰაინკესი საჭმის გამოსწორებას „ბაიერნის“ დამარცხებით ეშურება

თასმოლეუღლები
იურგენი მშობლიურ დედაქალაქში

თასური ძიძგილაობა გერმანიაში ახლადჩამცხრალია და არანაკლებ შლეგი ბუნდესლიგური ტური მოდის.

პირველად გელზენკირხენულ მატჩზე ვთქვათ. „შალკე“ ამ სეზონში ჯერაც ბეჩავია, მაგრამ იუპ ჰაინკესის გუნდმა ერთი მსუყე მატჩი როდისმე ხომ უნდა მოიგოს. თასის მეთექვსმეტედფინაში „ხუმარები“ დამატებით დროში 3:7 დამარცხდნენ ფრაიბურგში და ახლა მიუნხენის „ბაიერნს“ უნდა უმასპინძლონ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და ოლივერ კანის საამმატჩოდ თქმულს შემოგთავაზებთ: „რთული მატჩი გველის. ის თამაში, რასაც ახლა ვაჩვენებთ, არაა საკმარისი იმ მაღალი მიზნებისთვის, რომლებიც დავსახეთ“.

20.00	06.11	სლავია - ლევსკი		20.00	06.11	სლავია - ლევსკი	
21.00	06.11	შალკე - ბრონდბიუ		21.00	06.11	შალკე - ბრონდბიუ	
21.30	06.11	ვალერენგა - ვისლა		21.30	06.11	ვალერენგა - ვისლა	
23.00	06.11	პანიონისი - ბარსელონა		23.00	06.11	პანიონისი - ბარსელონა	

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 4 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 4 ნოემბერს)

საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი

ყურადღება მიაქციეთ მომდევნო კვირის კალენდარს! მესამე ეტაპი. მეშვიდე-მეათე ტური

მომდევნო კვირის კალენდარი

3 ნოემბერი - გაზეთი „ახალი ვერსია“, მესამე ეტაპის მეშვიდე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი), მეორე ეტაპის მეთერთმეტე და მეთორმეტე ტურის წინასწარი შედეგები,კონკურსის დებულება.

4 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მერვე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი)

4 ნოემბერი - ჟურნალი „ულტრა“, მესამე ეტაპის მეცხრე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი), მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

5 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეათე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი), მესამე ეტაპის პირველი და მეორე ტურის წინასწარი შედეგები, მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

6 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მერვე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი), მესამე ეტაპის პირველი და მეორე ტურის წინასწარი შედეგები, მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

7 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეათე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი)

8 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი“, მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მე-3 და მე-4 ტურის წინასწარი შედეგები, კვირის კალენდარი კონკურსის დებულება

მილიტომ რეალს მუხლი აჩვენა

რაული ეშმაკია, რონალდო საშიში, მე არამზადას მამა

არგენტინელი გაბრიელ მილიტო ამ ზაფხულს მადრიდის „რეალის“ ექიმებმა სამეფო კლუბის მეომრად დაიწუნეს და „სუსტი მუხლის“ პატრონი ოკეანისგაღმელი იძულებული შეიქნა, მოკრძალებულ „სარაგოსაში“ გახიზნულიყო. გავიდა ხანი და ესპანური მედიისგან „უიღბლოდ“ შერაცხულმა მილიტომ პრიმერას მე-9 ტურში „ლა რომპრედაზე“ არხეინად ჩასულ „რეალს“ შავი დღე დაანია. იმავე პირინეელმა ჟურნალისტებმა დაწუნებული გაბრიელი შეხვედრის საუკეთესოდ დაასახელეს. მუხლმაგარ პატაგონიელს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა.



— 0:0 „სარაგოსასთან“ და არავითარი ვარსკვლავური GOLEADA. აფსუს, რა ცენტრალური მცველი დაკარგა მადრიდის „რეალმა“?

— თუ ელით, რომ სიხარულით დაგეთანხმებით, ცდებით. არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. უმჯობესია, სხვამ თქვას.

— გულწრფელად მითხარით, „რეალთან“ შეხვედრას თქვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა?

— იმ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა „სარაგოსასთვის“ ჰქონდა, რადგან ახლა ჩვენი გუნდი პრიმერას ცხრილის ბოლოშია. ქულათა დაკარგვა (თუნდაც მადრიდის „რეალთან“) ჩვენთვის მეტად მძიმე იქნებოდა და ამიტომაც მთელი შემართებით ვითამაშეთ. პირადად მე, არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მსურდა, მხოლოდ „ლა რომპრედას არმიის“ ერთ-ერთი წევრი ვიყავი.

— რა იგრძენით, როდესაც თქვენი ფოტო ხსენებული შერკინების შემდეგ ყველა ესპანური გაზეთის თავფურცელზე გაჩნდა?

— ვცდილობ, ჟურნალისტთა ქებასაც საღი თვალით შევხედო და კრიტიკასაც. ჩემზე უკეთ ხომ არავინ იცის, როდის ვთამაშობ კარგად და როდის ცუდად.

— ეს თქვენი საუკეთესო შეხვედრა იყო?

— ესპანეთში ჩატარებულთაგან საუკეთესო.

— ჩემი აზრით, ამის შემდეგ თქვენი „სუსტი“ მუხლის ნაცვლად ყველა თქვენს საფეხბურთო სიჩაუქეზე ალაპარაკდება...

— მინდა, ყველამ იცოდეს — ფეხბურთელებმა, ინჩასებმა, ჟურნალისტებმა, საერთოდ მთელმა მსოფლიომ, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და დიდ დონეზე თამაში შემიძლია. ყველა შეხვედრაში ვეცდები, მაყურებელი ჩემი სიტყვების სიმართლეში დავარწმუნო.

— მადრიდის „რეალმა“ მაშინდელი უარყოფით დიდი ტკივილი მოგაყენათ?

— ეს ჩემთვის მართლაც საშინელი დარტყმა იყო. თუმც საინფორმაციო საშუალებებით უკმაყოფილების დემონსტრაციულად გამოხატვა არ მჩვევია და ამას არც ახლა გავაკეთებ.

— მადრიდელმა ექიმებმა არამცთუ არგენტინელთა, არამედ უცხოელ კოლეგათა აზრიც არ გაითვალისწინეს...

— ყველას თავისი შეხედულება აქვს. ექიმმა ვიენმა, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, სრული სამედიცინო გამოკვლევა ჩამიტარა და „რეალის“ ექიმების გადაწყვეტილებამაც ფრიად გააოგნა. თუმც მადრიდელებს თავიანთი აზრი არ შეუცვლიათ. მედიცინაშიც ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც მსოფლიო ფეხბურთში.

— „რეალთან“ უთანხმოების მიუხედავად, ამ კლუბის შემადგენლობით ისევ ძველებურად ხართ მოხიბლული?

— მოდით, უთანხმოებებს შევეშვათ და უფრო სასიამოვნო თემებზე ვილაპარაკოთ. „რეალი“ ახლაც ძალიან მომწონს, ერთ რამედ ღირდა მასთან შერკინება, მაგრამ მიუხედავად მისი „ვარსკვლავურობისა“, ჩვენთან გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო.

— რაულ ბრავოს მადრიდულ გუნდში ადაპტაციაზე რას იტყვით?

— რაულ ბრავომაც და პავონმაც კარგად აუღეს სამეფო კლუბში თამაშს ალღო, თუმცა მაინც მგონია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაცვის ხაზს ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. „რეალის“ ნახევარდაცვა და განაპირა მცველებიც მეტისმეტად ბევრს ფიქრობენ შეტევაზე და ეს ცენტრალურ მცველს ხშირად გამოუვალ სიტუაციაში აყენებს.

— არის ფრანსისკო პავონი მომავალი ფერნანდო იერო?

— ძალიან გაზვიადებული შედარებაა. ვერ წარმომიდგენია, რომელიმე მობურთალმა იეროს მაგივრობა გაწიოს, ფერნანდომ მადრიდში განუმეორებელი ისტორია შექმნა. ისე, თუ პავონი მთელ თავის კარიერას კასტილიურ გრანდში გაატარებს, ამის მიღწევის კარგი შანსი ექნება.

— ვინ უფრო მეტად სახიფათოა მეტოქისთვის, რაული თუ რონალდო?

— ორივე. საოცარი ფეხბურთელები არიან. როდესაც რონალდო მთელი თავისი ტექნიკური არსენალის მოშველიებით სწრაფად მოიწევს შენი საჯარიმოს მიმართულებით, მისთის ბურთის წართმევა თითქმის შეუძლებელია. აბა, სცადე და შეაჩერე!

— და რაული?

— ძალიან გონიერი და ეშმაკი ფორვარდია. ჩვენთან თამაშისას, როგორც კი დაცვაში რაღაც უზუსტობა შეამჩნია, მთელი მატჩის განმავლობაში ამ სუსტ წერტილს უტრიალებდა. დაკვირვებული ვარ, ყველა შეხვედრაში ასე აკეთებს. რაულისთვის თვალის მოცილება არ ღირს, იმწუთას განანებს.

— „რეალმა“ რომ თქვენი უკან დაბრუნება გადაწყვიტოს, დაბრუნდებით?

— არ ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია.

— იქნებ მაინც გვიპასუხოთ?

— ანუ მადრიდელთათვის ჩემი მუხლი უკვე „გამოჯანმრთელდა“? არა მგონია, „რეალმა“ თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს. ასეც რომ მოხდეს, იქ დაბრუნება ახლა ჩემს ინტერესებში ნამდვილად აღარ შედის.

— ევროპულ ფეხბურთში რისი მიღწევა გნებავთ?

— ახლა ჩემი მთავარი მიზანია, „სარაგოსამ“ პრიმერაში ადგილი შეინარჩუნოს. არ დაგიმალავთ და სამომავლოდ ესპანეთის ჩემპიონობაზეც ვოცნებობ, ისევე როგორც ამ ტურნირში მონაწილე ყველა ფეხბურთელი.

— ჩემპიონთა ლიგაზე თუ ფიქრობთ?

— მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო ჩემპიონატია. ვიმედოვნებ, ერთ მშვენიერ დღეს ამ გათამაშებაში „სარაგოსასთან“ ერთად მეც მივიღებ მონაწილეობას.

— როდის ელოდება ბედნიერი გაბრიელ მილიტო თავისი პირველი ვაჟის დაბადებას?

— დეკემბერში. ჩემს მეუღლესა და მე სული გველევა, ისე გვინდა ამ პატარა არამზადას გაცნობა.

— უმცროსი მილიტო ესპანელი იქნება?

— უეჭველად. კარგა ხანს ვაპირებ პირინეებზე გაჩერებას და, რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი რამ, ანუ ჩემი ოჯახი აუცილებლად გვერდით მეყოლება.

მარკ ოვერმარსს (მარჯვნივ) თამაში ენატრება

ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსი თავის დროზე „ბარსელონას“ ერთ-ერთი უძვირფასესი შენაძენი გახლდათ, მაგრამ 2003-04 წლების პრემერადივიზიონში კატალონიელთა ოდინდელ ფავორიტს უფრო ხშირად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევს. ოვერმარსი თავისი ამჟამინდელი კარიერით უკმაყოფილოა და „ბარსასგან“ მეტ ნდობა-ყურადღებას ითხოვს. ჰოლანდიელ ლეგიონერს ესპანური „მარკას“ ჟურნალისტები ესაუბრნენ

ნდობა გარსიას, შანსი ოვერმარსს

ბარსას ძველების ახალი სისხლი სჭირდება

— **სამი მატჩია, რაც „ბარსელონას“ ძირითადში ველარ გზედავთ. როგორ გრძნობთ თავს ყოველივე ამის შემდეგ?**

— ჩემს კარიერაში ეს რთული პერიოდია. ვისურვებდი, გუნდის სამატჩო განაცხადში მაინც ვყოფილიყავი.

— ამ ბოლო დროს გაზეთები ხშირად გაკრიტიკებდნენ. თქვენი აზრით, მათი შენიშვნები უსამართლო იყო?

— რატომღაც ისინი ესპანური ენის არცოდნას ჩააცივდნენ. ამბობდნენ, რომ სწორად ამის გამო ყოენდება დღევანდელ „ბარსაში“ ოვერმარსის დამკვიდრება. ეს მტკნარი სისულელეა. თანაგუნდელების მშვენივრად მესმის და ამ მხრივ ყველასთან სრულ ჰარმონიაში ვიმყოფები.

— რას ელოდება „ბარსელონასგან“ მისი ჰოლანდიელი მეომარი?

— ახლა მწვრთნელი უფრო ლუის გარსიას ენდობა, მე კი ჩემს შანსს ველოდები, ვიცი, რომ რაიკარდი საბოლოოდ ძირითადის გარეშე არ დამტოვებს.

— და თუ სიტუაცია მაინც არ შეიცვალა?

— თუ ორ-სამ თვეში სიტუაცია არ შეიცვალა, უკვე სერიოზული პრობლემები შემექმნება. რაზეც ახლა ლაპარაკი ნამდვილად არ მსურს.

— პატრიკ კლუივერტი, ლუის ენრიკე, მარკ ოვერმარსი... „ბარსაში“ უკმაყოფილოთა ბირთვი ჩამოყალიბდა.

— გუნდს ახალი სისხლიც სჭირდება და ეს ფეხბურთელებიც, კლუივერტი და ენრიკე, ძირითად შემადგენლობას სწრაფად დაუბრუნდებიან, ჩემი სიტუაცია კი შედარებით რთულია. მესმის კლუბის ხელმძღვანელობის — რაკი „ბარსელონა“ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერაფერს იგებს, ძალაუნებურად უფროსობა ძირეულ ცვლილებებზე ფიქრობს.

ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მერწმუნეთ, კატალონიური გრანდის სასახელოდ თქვენს მიერ ნახსენებ ფეხბურთელებს კვლავაც შეუძლიათ ჩაუქი ბრძოლა.

მშვიდად, ეს ძარცვაა!

ხანდახან თურმე თამაშს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა სჯობს. აი, რატომ: „მარსელის“ ფეხბურთელი სილვენ ნდიაიე ძირითად შემადგენლობას დიდხანს არ გაჰკარებია. გასულ უქმეებზე, როცა „მარსელი“ „რენს“ 2:0-ს უგებდა, ნდიაიე ალენ პერენმა შეცვლაზე შეუშვა.

მატჩის მეორე დღეს, კვირა დილით, გახარებული ფეხბურთელი თავის უძვირფასეს „მაზერატის“ მოახტა და ოთხთვალათი ბაზისკენ გასწია.

სილვენი საჭესთან ღიღინებდა. ერთ ადგილას გზა შეივწროვდა და მან სვლა შეანელა. უეცრად მას მეორე ავტომობილი წამოეწია და გზა გადაუკეტა.

მომხვდურები იარაღით ხელში გადმოხტნენ, ჰაერში ისროლეს და „მაზერატის“ მძღოლს მანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს.

შეშინებული ფეხბურთელი ფეხაკრეფით გადმობრძანდა და მძარცველებს მოუბოდიშა, ძალიან ნელა ხომ არ გადმოვდიოდიო. ძვირფასი ავტომობილი წაიყვანეს, სილვენ ნდიაიემ კი პოლიციას მიაკითხა. დაყაჩაღებულმა მოგვიანებით იხუმრა, ავტომობილი როგორ იქოქებოდა, ისიც ვაჩვენე და კონდიციონერის ჩართვაც ვასწავლე, გზაში თუ ძალიან დაგცხათ, გაგავრილებთ-მეთქი.

ბაჟა ხუციშვილი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ფაჩულია ელოდება, ცქიტიშვილს ალოდინებენ

30 ოქტომბერი

ჰიუსტონი 102:85 დენვერი

ჰიუსტონი: ფრენსისი (17), მობლი (21), ჯეკსონი (10), კატო (10), მინგი (19); ნახბარი (5), ტეილორი (10), ბრეგსი (6), ნორისი (2), პადჯეტი (2)
დენვერი: მილერი (19), ლენარდი (5), ენტონი (18), ილარიო (13), კემბი (4); ბოიკინსი (9), ბერი (7), ანდერსენი (4), ცქიტიშვილი (16 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა), ელსონი (2), ბოუენი, ვაიტი

ორლანდო 98:100 ნიუ ორლეანი

ორლანდო: ლუ (12), მაკგრეიდი (33), იონსენი (2), გუდენი (16), ჰოვარდი (15); უილიამსი (11), ჰარვი (3), დეკლერკი (2), გირიჩეკი (4), გეინისი
ზაზა ფაჩულია სათადარიგო იყო
ნიუ ორლეანი: დევისი (22), უესლი (28), ბრაუნი, ლინჩი (8), მალუა (27); არმსტრონგი (4), ოგმონი (2), რუქსი, ვესტი (9), ტრეილორი

ფინიქსი 95:86 კლივლენდი

ფინიქსი: სტუდემაიერი (25), მარბერი (24)
კლივლენდი: დევისი (22), ჯეიმსი (21 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

სიეტლი 109:100 კლიპერსი

სიეტლი: ლუისი (25), მიურეი (24)
კლიპერსი: ბრენდი (21 ქულა, 15 მოხსნა)

სატურნირო განრიგმა ორ „ქართულ“ კლუბს „დენვერსა“ და „ორლანდოს“ ხუთშაბათს დაუწესა თამაში და ორივემ ჩააგდო ეს დღე. „ორლანდომ“ ეს ზაზა ფაჩულიას „დაუხმარებლად“ მოახერხა ზაზასთვის კვლავ სკამზე დაიწყო და დამთავრდა თამაში, ასე რომ, მისი დებიუტი ისევ გადაიდო. რაც შეეხება ნიკა ცქიტიშვილის, ის 16 წუთით გავიდა ჰიუსტონელებთან სათამაშოდ და თავისიანები ვერ იხსნა მარცხისგან.

„დენვერის“ წასაგებად უამრავი წინაპირობა არსებობდა. სტუმრებს არც ვინმე აკლდათ და არც მეტოქე იყო უძლეველი, უბრალოდ, ჰიუსტონში ისეთი ატმოსფერო სუფევდა, „როკეტსის“ წაგება იქაურთათვის ალბათ ტრაგედიად აღიქმებოდა. აი, მიზეზებიც: „ჰიუსტონისთვის“ საამმატჩოდ ბევრი რამ იყო საღებიუტო — თავად მატჩი, მწვრთნელი ჯეფ ვან განდი, კლუბის ლოგო და მთავარი: ცინცხალი არენა „ტოიოტა სენთერი“, რომელიც ქალაქის ცენტრში წამოუჭიმავთ და მისი აშენება 202 მილიონი დაჯდომიათ.

„ტოიოტა სენთერი“ ცნობილ რეპერ ქულიოს კონცერტით და ამ შეხვედრით გაიხსნა. ჩვენებური ფორვარდი პირველი მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ჩაერთო თამაშში და ხეირიანადაც, მაშინვე ჯიმ ჯექსონს დაუფარა და მცირე შესვენებამდე სამი მოსხნაც მიითვალა.

განახლდა თამაში და ნიკას რამდენჯერმე მიეცა ქულების მოპოვების შანსი, მაგრამ სამი სროლა მიყოლებით გააფუჭა. მეორე მეოთხედში ცქიტიშვილი მოედნიდან გაიხმეს და თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე დააბრუნეს უკან. ამჯერად ნიკა ბოლომდე დარჩა მოედანზე და სწორედ ამ პერიოდში მოაგროვა ის 4 ქულა, რომელიც მისი საამმატჩო მონაგარია 6 მოხსნასთან და ერთ დაფარებასთან ერთად.

ცქიტიშვილს პასს არ აძლევდნენ, კომბინაციების ეპიცენტრში დენვერელთა ახალბედა კარმელო ენტონი და ნენე ილარიო გახლდნენ, ქართველს კი ძირითადად ბლოკის დაყენება და ფარქვეშ მუშაობა ევალებოდა.

ერთხელაც გამოჩნდა, რომ ცქიტიშვილი მართლაც ხასიათის მოთამაშეა. დაცვაში მეტნაკლებად სტაბილურად კი ირჯება, მაგრამ სროლები თუ არ წაუვიდა, მწვრთნელი აღარ ენდობა-ხოლმე. ასე იყო, წუხელაც, ნიკამ სამჯერ რომ ააცილა, ჯეფ ბზდელიკმა ის მოედანზე აღარ გააჩერა, რადგან სამართლიანად ფიქრობს, რომ ასეთი მონაცემების კალათბურთელს მხოლოდ დაცვაში თამაში არ მოეთხოვება, ქულებიც უნდა აკეთოს.

„დენვერმა“ ერთი ტაიმი გაუძლო ჰიუსტონელების მიძალებას და მესამე მეოთხედში გატყდა. თამაშის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გაირკვა, მაგრამ მაყურებელმა გამორჩეულად მაშინ იგრძალა, „როკეტსმა“ მე-100 ქულა რომ მიითვალა. საქმე ის გახლდათ, რომ „ტოიოტა სენთერში“ სტუმართათვის ჰამბურგერის მთავარ მიმწოდებელს პირობა დაუდია, თუ ჩვენმა გუნდმა 100 ქულას მიაღწია, ვისაც გენებოთ, ცხელ-ცხელ ჰამბურგერს მოგართმევთო. „ჰიუსტონის“ მწვრთნელ ჯეფ ვან განდის კი უთქვამს — აჯობებდა, იმ მეჰამბურგერეს მეორე პირობაც წამოეყენებინა 100-ქულიანი ზღვრის დაძლევასთან ერთად, დავუშვათ, 80 ქულის არმიღება, ასე ნაკლებ ზარალს ნახავდაო.



„ჰიუსტონის“ აწმყო და მომავალი ჯეფ ვან განდი და იაო მინგი

REUTERS ჰიუსტონიდან

მომავალი ჩემია

სტეფანია დამშვიდდა და გვამშვიდებს



ვლადიმერ სტეფანიას „პორტლენდში“ უხეირო დებიუტი ჰქონდა. ქართველმა ცენტრმა გახსნის მატჩში „იუტასთან“ 16 წუთი ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა. გუშინ სტეფანიას პორტლენდში რომ დავუკავშირდით, გვეგონა, უხასიათოდ იქნებოდა, მაგრამ არაფერი მსგავსი. გვითხრა, ჩემთვის კალათბურთის თამაში იოლია, მთავარი ახალ გუნდში ადაპტაციააო...

— საგანგაშო არაფერია, უბრალოდ, ვერ ვითამაშე საჭირო დონეზე, მაგრამ წინ კიდევ 81 მატჩია.

— რატომ გაგიჭირდა, ფორმა ჯერაც ვერ აღიდგინე?

— ფორმაში არ ვარ-მეთქი, წინა საუბრისას რომ გითხარი, იმას კი არ ვგულისხმობდი, თითქოს თამაში დამავიწყდა, ან ფიზიკურად გამიჭირდა. მოხსნა, დაფარება, ბურთის ჩაგდება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მთავარია გარემოსთან, ახალ კლუბთან შეგუება, რასაც მალე მოვახერხებ.

— „იუტასთან“ მატჩზე რას იტყვი, თითქმის მოგებული თამაში წააგეთ...

— რა უნდა ვთქვა, დასანანია. სეზონის პირველი შეხვედრა იყო და რომ მოგვეგო, კარგი იქნებოდა, მაგრამ ბოლოს არ გაგვიმართლა, მეტოქემ გადამწყვეტ მომენტში ძალიან კარგად ითამაშა.

— იუტელთაგან შენი ოპონენტი ვინ იყო?

— გრეგ ოსტერტაგი მიჭერდა, მაგრამ ოთხი ორქულიანი რომ ავაცილე, არც მთლად მისი დამსახურებაა, მე თვმთონ მიმტყუნა მიზანმა.

— საერთოდ „პორტლენდის“ ცენტრებმა ცუდად ითამაშეთ, დეილ დევისმაც ვერაფერი მოახერხა...

— ჰო, ძირითადად ფორვარდებს დააწვათ მთელი სიმძიმე, ზაკ რენდოლფს და რაშიდ ვოლესს.

— ვოლესი თუ გაიცანი ახლოს? ის ხომ ცნობილი ბუნტისთავი, მარიხუანას მოყვარული და საერთოდ, გიჟმაჟი ვინმეა...

— ჯერჯერობით ასეთი არაფერი შემიმჩნევია, ვარჯიშებზე ძალიან გაწონასწორებულია და პირად ურთიერთობაშიც არა უშავს. შეიძლება, მერე მოუაროს რამემ, ახლა წყნარადაა. სეზონის წინ 250 000 დოლარით დაჯარიმეს და ხმას არ ილებს.

— როდისთვის ელი ათამაშებას, ჩვეულად როდის მოხსნი ბურთებს?

— „იუტასთან“ ხუთი მოხსნა მოვაგროვე, რაც 16 წუთით თამაშის კვალობაზე ცუდი შედეგი არაა. ახლა ჩემი რეალური შესაძლებლობების 80 პროცენტს ვიყენებ, ორი-სამი მატჩიც და ყველაფერი დარეგულირდება.

— მომდევნო მატჩში „კლივლენდს“ მასპინძლობთ. რას იტყვი ამ გუნდის ახალბედა ლებრონ ჯეიმსზე, რომელზეც ახლა მთელი ამერიკა ლაპარაკობს?

— ჯეიმსმა თუ ასე გააგრძელა, მართლაც დიდი კალათბურთელი გახდება. ის ჯერ არ შემხვედრია და ხვალ ვნახავ, მოგებით კი ნაღდად მოვუგებთ „კლივლენდს“.

— ბოლოს „პორტლენდის“ პრეზიდენტ ჯონ ველშზე გკითხავ: ამ კაცს თვალში არ მოსდიოდი და ახლა როგორაა საქმე?

— ყველაფერი ნორმალურადაა, ველშს ჩემთან რა საქმე აქვს, მე მას იშვიათად ვხვდები, ჩემი უფროსი მწვრთნელია. ისე, რამით უკმაყოფილო რომ იყოს, ალბათ შევიტყობდი.

ირაკლი პერტაია

ჭიდაობა

ოპელი: ახალი ჯიშის ცხვარი

ქართული ჭიდაობის დღიური

დღეს 14 საათზე სპორტის სასახლეში ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავნობა გათამაშდება. 75 კილოგრამზე მძიმე მოჭიდავეები ერთმანეთს მთავარი პრიზის, ავტომობილ „ოპელისთვის“ დაეჭიდებიან. სანახაობაზე დასწრება თავისუფალია, თუმც აზარტული მაყურებლებისთვის სასახლეში შესასვლელად ერთლარიანი ბილეთები გაიყიდება, რომლებზედაც ფალავნის გამოვლენის შემდეგ უამრავი ფასიანი პრიზი და მთავარი, კიდევ ერთი „ოპელი“ გათამაშდება.

წინასწარი მონაცემებით, მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 25 კაცამდე იქნება, მაგრამ ეს რიცხვი შეიძლება ტურნირის დაწყებამდე 2-3 საათით ადრე აწონვისას კიდევ გაიზარდოს. აქედან გამომდინარე, გუშინ სალამის საბოლოოდ დაზუსტებული არც შეჯიბრის ჩატარების სისტემა იყო.

მთავარი მსაჯის გურამ საღარაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ფალავნობის მოსაგებად ძიუდოს, სამბოს და ტრადიციული ქართული ჭიდაობის უძლიერესი სპორტსმენები შეიკრიბებიან. ფავორიტთა შორის კი გამორჩეული საქართველოს 5-გზის ფალავანი ალექსი დავითაშვილია. მძიმეწონოსანი ძიუდოისტის შედეგისთვის აქამდე თურმე რამდენიმე მოჭიდავესაც მიუდწევია, ხოლო 6-ჯერ არავის უფალავნია და დავითაშვილის გამარჯვებისკენ სწრაფვას ალბათ ახალი რეკორდის დამყარების სურვილიც გაამყარებს. ასე რომ, ვისაც ზურნის თანხლებით ნახერხიან მოედანზე გამართული ნამდვილი ქოართული ჭიდაობის ნახვა მოენატრა, სურვილის ასრულება სპორტის სასახლეში მისვლით შეუძლია. ბოლოს კი იმასაც დავსძენთ, რომ მეორეადგილოსანი ათას დოლარს მიიღებს, მესამეადგილოსანი კი ხუთასს.

ოთარ მალლაკელიძე



ალექსი დავითაშვილს მეექვსე ქართული ჩემპიონობა სწადია

ბუბა ფოლადაშვილის ფოტო

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

დიმიტრის ბიბილო გაეზარდა
მამალმა არწივიც დაპორტნა

31 ოქტომბერი. ფულონგონგი

საფრანგეთი 41:14 აშშ

საფრანგეთი: პოიტრინუ, ელორგა, ლიბენბერგი, ტრაილე, ბორი, მერსერონი, იაშვილი; ლაბიტი, ტობაკო, შაბალი, ბრუზე, ორადუ, პო (მარკონე), ბრუ (კაპ), მილუ

ნლ: ლიბენბერგი (3), პო, ბრუ; 2გ: მერსერონი; 3ს: მერსერონი; 1ს: იაშვილი

აშშ: ბუსოლეი, ფიი, ელოფი, სიკა (კეიტერი), ციილი, ჰერკუსი (შერმანი), დალეელი (ტიმოტეო); ლაილი (გოუვსი), ჰოჯი (კაპ), შუბერტი, გროსი, ბარკერი, დორსი (ვაასდორფი), ხაშიგიანი (უანითი), მაკდონალდი

2ლ: შუბერტი, ჰერკუსი; 2გ: ჰერკუსი

ფრანგული და ევროპელი რაგბის ამომავალმა ვარსკვლავმა, ბორჯლალოსანთა მორკინალის გრეგუარ იაშვილის უმცროსმა ძმამ დიმიტრიმ მსოფლიოს თასამდე „სარბიელთან“ ინტერვიუში გაამხილა თავისი ოცნება — ერთი მატჩი მაინც მათამაშა ავსტრალიაშიო.

აუხდა დიმიტრის ეს ოცნება და თან როგორ: ფრანგი კომენტატორები ყველაზე ხშირად, სწორედ იაშვილს ახსენებდნენ, რომელიც კიდიდან კიდეზე ფეხით გადაკიდებული ბურთებით, ხელით გრძელი და მოკლე პასებით, დაცვაში საიმედო და შეტევაში უმწვავესი გარღვევებით ერთ-ერთი საუკეთესო იყო საფრანგეთის ნაკრებში.

დიმიტრის შეეძლო, მისი მსოფლიოდებიუტი ლელოთი აღენიშნა, მაგრამ ვაგლახ, ამერიკელთა ლელოსთან ფეხი პირითი ხაზს დაბიჯა და ვიდეორეფერის დახმარებით მსაჯმა ლელო გააუქმა. ცაცია დიმიტრიმ მაინც ჩაიწერა ქულები და ეს მშვენიერი არეკნით შეძლო.

23 წლის დიმიტრი მოედანზე არ იქნებოდა, ფრანგთა მთავარ მწვრთნელის 9 ნომერი ფაბიენ გალტიე და მასთან ერთად ძირითადი შემადგენლობის კიდევ 13 კაცი რომ არ დაესვენებინა. ლაპორტმა მთავარი „მამლებიდან“ ამერიკელ „არწივებს“ მხოლოდ ფულბეკი კლემე პოიტრინუ დაუყენა და მანაც მთელი მატჩი სისხლი გაუშრო მეტოქეთა მცველებს, ერთხელ კი 60-მეტრიანი ეშხიანი სლალომი წამოიწყო, რომელიც ბრაიან ლიბენბერგმა ლელოთი დაასრულა. ტომით სამხრეთამერიკელმა ლიბენბერგმა კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი და ჰეთ-თრიკი ჩაიწერა.

REUTERS ფულონგონგიდან

დიმიტრი იაშვილს ავსტრალიაში ბურთაობის ოცნება აუხდა

საამტურნიროდ საფრანგეთმა პირველად ვერ გაიტანა 50 ქულაზე მეტი, თორემ ჯგუფური ეტაპი ისე ჩაამთავრა, რომ თავისი პრემიალურებით ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და მეოთხედფინალში ავსტრალია—ირლანდიას შორის უარესს შეხვდება.

ცნობისთვის, საფრანგეთი და აშშ მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს და ფრანგებმა მეხუთედ მოიგეს. ნუ გაგიკვირდებათ და აშშ-მ შორეულ 1924 წელს პარიზში 17:3 დაამარცხა საფრანგეთი.

37 წლის სახელგანთქმული სკანდალი, სახელად მაიკ ტაისონი, კრივს საბოლოოდ ეთხოვება. „რკინის მაიკი“ გადაიღალა, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ მან თავად განუცხადა კოლუმბიური „ელ ტიემპოს“ ჟურნალისტებს, როცა ეგზოტიკურ მაიამიში ბეისბოლის მატჩს ესწრებოდა. „სარბიელი“ ზემოთხსენებული გაზეთის ამერიკელი კორესპონდენტის მაურისიო ბაიონას ტაისონურ შთაბეჭდილებებს გთავაზობთ

ADIOS, AMIGOS!
შავმა ურჩხულმა თეთრი დროშა გამოკიდა



70 ათასი მაყურებელი შეკრებილიყო იმ დღეს მაიამურ არენაზე და მიუხედავად ამისა, ვინმეს მაიკ ტაისონისთვის რომ ექთვა, იქნებ მოახერხო და ამ ზღვა ხალხში მცირე ხნით მაინც შეუმჩნეველი დარჩეო, მსოფლიოს კრივის ლეგენდისგან უკეთეს შემთხვევაში ირონიულ ღიმილს დაიმსახურებდა. გარდა იმ სახელ-დიდებისა, რაც ამ ჯეელს რინგზე და მის გარეთ მეტოქეთა ცხვირ-პირის დაჩეჩქვითა თუ მავან ქალბატონთა აწიოკებით მოუხვეჭია, იქაური მაყურებლისგან მაიკი შემზარავი აღნაგობითაც გამოირჩეოდა — თავით ფეხებამდე რკინა-ბეტონის სვეტადქცეული გამანადგურებელი მანქანა თითქოს შორიდანვე გაფრთხილებს — „ეი, ეს მე ვარ, მაიკ ტაისონი, ჩემპიონთა მეფე და სანამ ჩემთან მოახლოებას გადაწყვეტდეთ, ჯერ კარგად დაფიქრდით, საერთოდ ღირს თუ არა ამის გაკეთება!“ ისე დაძაბულად ცხოვრებაში არ მიგრძვნია თავი, როგორც ამ გლადიატორთან საუბრისას. ყოვლად შეუძლებელია, ახლოდან ნანახი მისი ტატუირებული სახე ვინმემ გონებიდან ამოიგდოს.

„მაიამი მარლინისა“ და „ნიუ იორკ იანკიზის“ მატჩი ტროპიკული თავსხმა წვიმის დიდი უპირატესობით წარიმართა, რის შედეგადაც სხვა, ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად ერთიანად გალუმპული მოკრივე იძულებული შეიქნა, მომაბეზრებელ თქეშს იქვე მდებარე პატარა საკონფერენციო დარბაზში გაქცეოდა. „ელ ტიემპოს“ მობილურმა ჯგუფმა სწორედ იქ „გამოიჭირა“. „პრობლემა არაა, მეგობარო, ვისაუბროთ — გვითხრა ტაისონმა, როცა რამდენიმე „რკინის წუთი“ ვთხოვეთ — სანამ ეს წყეული წვიმა გადაიღებს, მკითხეთ, რაც გნებავთ. იმედია, თქვენთან ლაპარაკი ბეისბოლის სველ თამაშზე საინტერესო იქნება“ — და მასავით ვეებერთელა ტყავის სავარძელში მოხერხებულად ჩაეფლო. ცხადია, ექსჩემპიონი ჩვენთან ურთიერთობით, ულიმლამო მატჩითა და ავდრით წახდენილი ხასიათის გამოკეთებას ლამობდა. პირველად მაიკის სამომავლო გეგმებით დავინტერესდი. „ახლა სულ სხვანირ ცხოვრებას ვიწყებ. ყელში ამომივიდა ამდენი აურზაური. ვიდეოკამერებს, ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს დასანახად ველარ ვიტან („ელ ტიემპოს“ ბრიგადის წევრებმა ამ სიტყვებზე ერთმანეთს თავაზიანად გაუღიმეთ, ჩვეულებრივი, ადამიანური ყოფა მომენატრა, დამღალა ამ ჯოჯოხეთურმა კრივმა. მინდა, მეც თავისუფლად შემეძლოს სტადიონზე ბეისბოლისა და ფეხბურთის საყურებლად მისვლა (კვლავ ჩვენი თაკაზიანი ღიმილი), მინდა, რომ, უბრალოდ, სიცოცხლით დავტკბე, სხვა არაფერი. ასეთ ჰოპულარობას ერთი გემრიელი ჰოთდოგის უჩუმრად ყიდვა მირჩევნია“ — გაგვიმხილა ტაისონმა და ჩვენი რეაქციის მოლოდინში თავისებურად, ჯიქურ შემოგეხვდა. „ნუთუ მასხრად გვიგდებს“ — ეჭვიანად გავიფიქრე და... „ესე იგი, დიდმა მოკრივემ დიდი კრივი საბოლოოდ მოიძულა?“ მცირედი სიჩუმის შემდეგ ტაისონის პასუხი ასეთი იყო: „კრივს არ შევიძულებ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ მასთან დამშვიდობებას ვგეგმავ. უკვე დროა, ღირსეულ წასვლაზე ვიფიქრო. ოჯახი, სახელი, მეგობრები და მტრებიც კი რინგზე დგომით მოვიპოვე. ახლა მარტო სიმშვიდე და სიწყნარე მინდა — მერე ნერვიულად შეიშმუშნა თავის სავარძელში და დაამატა — განა არ ვიცი, ამ საქმეში დარჩენით კიდევ ბევრი ფულის შოვნა რომ შემიძლია, მაგრამ დღეს ჩემთვის ზედმეტი რამდენიმე მილიონი უკვე არაფერს ნიშნავს.“

ძნელია ამ კაცთან ლაპარაკი. ბრუკლინის ქაჯურ დიალექტზე მეტყველებს, მეტისმეტად აგრესიულია, თავადაც საშინლად იძაბება და მოსაუბრესაც თრგუნავს (თუმც გარშემომყოფ ფანობას ავტოგრაფები ალალად ჩამოურიგა). სენსაციური აღსარების შემდეგ ციხეზე, ქალებსა და საკუთარ საშინელ მუშტებზეც მოგვითხრო: „ბევრჯერ შევცდი, არასწორად მოვიქეცი, მაგრამ, მგონი, ღმერთმა ყველაფერი საკადრისად მომიზღო. გავიგე, რას ნიშნავს ციხეში ყოფნა, ცუდი საკვები, შფოთიანი ძილი და მწარე შეგრძნება იმისა, რომ ყოველ წუთს შეიძლება ზურგში დანა გითავაზონ. ბავშვობიდანვე კარგად მქონდა შეგნებული ჩემი მუშტის ძალა. რასაც ცხოვრებაში მივაღწიე, ყველაფერი საშინელი ბრძოლის ფასად დამიჯდა. იმ გოგოებთან ატეხილი სკანდალიც ჩემთვის დიდი დარტყმა იყო, თუმცა ახლა ვცდილობ, კანონთან მეტ-ნაკლები ჰარმონიით ვიცხოვრო“.

ძველი ბრუკლინელი ცოტა ხანს დუმდა და მერე დაბეჯითებით გაიმეორა უკვე ნათქვამი ფრაზა: „დავიღალე, მინდა, რომ კრივთან საერთო არაფერი მქონდეს“. ხოლო ამ უჩვეულო ინტერვიუს ბოლოს (წვიმამ მაინც არ გადაიღო) ესპანური ენის „ცოდნაც“ გამოამჟღავნა. „ESTA BIEN, AMIGO, კარგად ვისაუბრეთ. ახლა კი უნდა წავიდე — ADIOS! — კასტილიურად გამოგვეთხოვა „რკინის მაიკი“ და საკონფერენციო დარბაზი (იქნებ მსოფლიო რინგიც) მძიმე ნაბიჯით დატოვა.

ესპანურიდან თარგმნა
ლადო ხომერიკმა

ანდე ენდიმ რა ჰქნა

როდიკმა პირველი ჩოგანი ჩაიბარა

პარიზის მასტერსი

ხალიჩა. საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

მესამე წრე

ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) — **ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) 7:5, 7:5; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **ტომი რობრედო** (16, ესპანეთი) 6:3, 6:3; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — **მარტინ ფერკერკი** (13, ჰოლანდია) 6:7 (3:7), 7:6 (14:12), 7:6 (8:6); **ანდრე პაველი** (რუმინეთი) — **გილერმო კორია** (4, არგენტინა) **კორიამ გრიპის გამო ვერ ითამაშა; რაინერ შუტლერი** (5, გერმანია) — **ნიკოლას მასუ** (10, ჩილე) 6:4, 7:5; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — **პარადორნ შრიჩაფანი** (8, ტაილანდი) 7:6 (7:3), 6:3; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) 6:4, 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (9:7)

ამ პარიზობაზე რაღაც ამდაგვარი რომ უნდა მომხდარიყო, ბევრ ელოდა, მაგრამ მსოფლიოს ახალ პირველოსანზე საუბარი უკვე ნამესამწრეკვებს თუ მოგვიხდებოდა, ეგ კი არავის უწინასწარმეტყველებია.

წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებულმა ენდი როდიკმა წლევანდელსავე როლანგაროსობაზე გაჩემპიონებულ ხუან კარლოს ფერეროს პარიზში ირჟი ნოვაკთან წაფორხილება არ აპატია და მყისვე ორივე რეიტინგსიის სეფადგილები წაჰგვარა.

მაშ ასე — 21 წლის, 2 თვისა და 4 დღის ენდიბოი გახდა 22-ე კაცმეჩოგნე, ვინაც 1973 წლიდან ანუ მას შემდეგ რაც ჩოგბურთში რეიტინგები შემოვიდა, კაცთა ამქარს სათავეში მოექცა. ის ასევე გახლავთ მეექვსე ამერიკელი კაცი, ოდესმე ამგვარი რამისთვის რომ მიუღწევია. მასზე ახალგაზრდებიდან კი უზენაეს საფეხურზე მხოლოდ ჯონ მაკინროი (21 წლისა და 15 დღის), მარატ საფინი (20 წლისა და 9 თვის) და ლეიტონ ჰიუიტი (20 წლისა და 8 თვის) მდგარან.

შეგახსენებთ, რომ ჭაბუკი ენდი ბოლო წლების განმავლობაში პიტ სამპრასის, ანდრე აგასის, ჯიმ კურიესა და მაიკლ ჩანგის დიადი ამერიკული თაობის მემკვიდრედ მიიჩნეოდა. მაგრამ ამ მემკვიდრეობის საზიდად საჭირო ფსიქოილაჯი და ოსტატობა მან მხოლოდ წლეულს და ისიც უმთავრესად ამაგდარი მწვრთნელის ბრედ გილბერტის შეგირდობისას მოიმკა.

ერთი წლის განმავლობაში პარადსარეკორდოდ ბევრი ექვსი ტიტული, რომელთა შორის გამოსარჩევია კარიერის პირველი სლემჯილდო, ზედიზედ მოგებული ორი მასტერსტურნირი მონრეალსა და ცინცინატიში — აი, ის ბარაქიანი მონაგარი, რამაც ენდი როდიკი ჩვეულებრივი ვარსკვლავთმოყმისგან წლეულს თანამედროვე ჩოგბურთის ერთ ყველაზე სოლიდურ ფიგურად აქცია.

ხოლო ეს თემა ამ ჯერზე რომ ბოლომდე ამოვწუროთ, ბარემ იმ 21 ჩოგბურთელის ვინაობასაც გამცნობთ, ამქრის სათავეში როდიკამდე რომ აღზევებულან. 1973 წლის 23 აგვისტოს გამოცემულ რეიტინგსიას რუმინელმა ილიე ნასტასემ უყოჩა, მას კი შემდეგი თანმიმდევრობით მიჰყვნენ: ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია), ჯიმი კონორსი (აშშ), ბიორნ ბორგი (შვედეთი), ჯონ მაკინროი (აშშ), ივან ლენდლი (ჩეხეთი, აშშ), მატს ვილანდერი (შვედეთი), სტეფან ედბერგი (შვედეთი), ბორის ბეკერი (გერმანია), ჯიმ კურიე (აშშ), პიტ სამპრასი (აშშ), ანდრე აგასი (აშშ), ტომას მუსტერი (ავსტრია), მარსელო რიოსი (ჩილე), კარლოს მოია (ესპანეთი), ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი), პატრიკ რაფტერი (ავსტრალია), მარატ საფინი (რუსეთი), გუსტავო კუერტენი (ბრაზილია), ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) და ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი).

ზემოთვე მოგახსენეთ, რომ როდიკმა ფერეროს ჩემპიონთა რბოლაშიც გადაუსწრო — თუკი პარიზში ჩასვლამდე ის მას მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებოდა, ნაიმდღევებს უკვე ექვსი ქულით უსწრებს.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ მათ შორის უპირველესს მაინც წლის დამაგვირგვინებელი ჰიუსტონური მასტერსტურნირი გაარკვევს. თუმცა მათ დავაში ჩარევის მათემატიკური შანსი ჯერაც რჩება მესამე ადგილზე მდგომ როჯერ ფედერერს და ამდენად — წინ კიდევ რამდენიმე დამატყვევებელი საჩოგნაო კვირა გვიძევს.

არადა, ფედერერი იმ დღეს თავადაც ბეწვზე გადაურჩა ოტებას, როცა წლევანდელი როლანგაროსის ახმახი ფინალისტის, მარტინ ფერკერისგან ჯამში ოთხი მატჩბურთი აირიდა. ეს ეპიკური შეხლა წლის მეექვსე სამტაიბრეიკიანი მატჩი გამოდგა.



ენდი როდიკმა ხუან კარლოს ფერეროს ძვირად დაუსვა შეცდომა

სხვაფრივ — დადგინდა ჰიუსტონური რვაკაცა მასტერსთასის უკანასკნელი საგზურის მფლობელიც. მართალია, დავიდ ნალბანდიანს ნატკენმა მაჯამ პარიზში ჩოგანი არ გაანძრევინა, მაგრამ მის მადევართ ისედაც მიზერული შანსები ჰქონდათ და ამათაც ვერაფერი მოუხერხეს. ბოლო, ვინაც არმენოგაუჩოს დევნა შეწყვიტა, პარადორნ შრიჩაფანი იყო — იმ დღეს ის მაროკოელმა ჰიშამ არაზიმ გააბუნძულა.

გრიპის გამო კორტზე არ გასულა რანგით მეოთხე მეჩოგნე გილერმო კორია, ვისი არყოფნაც მაყურებელს საინტერესო მატჩების ცქერას მოაკლებს. სანაცვლოდ, კვლაფ დაუცხრომლად შრომობს რანგით მეხუთე ჩოგნის მქნეველი რაინერ შუტლერი, ვისაც უნდა ეპაექრა კიდეც კორიასთან მეოთხედფინალში.

ბოლო რვეულის მიღმა დარჩა აქამდე წინა კვირას სანკტ პეტერბურგში ნახეირალი გუსტავო კუერტენი — მის ძლევას მხოლოდ საათი და 15 წუთი მოანდომა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა.

ლევან კელაურაძე

რეგულარული ჩემპიონატი

ჰკა მაგას!

ხელი დეტროიტმაც გამოიღო

ნეშვილი 5:3 დეტროიტი

0:1 3:0 2:0

0:1 **ზეტერბერგი** (5), 1:1 **ჯონსონი** (24), 2:1 **ჯონსონი** (37), 3:2 **აიზერმანი** (44), 4:2 **ლეგვანდი** (47), 4:3 **პალი** (55), 5:3 **მიურეი** (59)

ეს ის ძველი „დეტროიტია", თუ მეომართა კლუბი? ბოლო წლების გრანდი მშვიდი და ლმობიერი არასდროს ყოფილა. დასტურად „კოლორადოსთან" ხანგრძლივი ომის გახსენებაც საკმარისია, მაგრამ ეს ცალკე ისტორიაა. „ნეშვილის" დარ გუნდებთან კი დეტროიტელთა ასეთი აფეთქება არავის ახსოვს. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „წითელფრთიანები" აშკარად აღელვებულნი და გაბრაზებულნი გავიდნენ ყინულზე და როგორც კი გაირკვა, რომ მეტოქეც არ აპირებდა დანებებას, ერთი ამბავი ატყდა მოედანზე. უკვე 23-ე წამზე დარენ მაკარტი და ნეშვილელი ჯერემი სტივენსონი დაერივნენ ერთმანეთს, ხოლო როცა მალევე დეტროიტელმა ირჟი ფიშერმა უმძლავრესი ჰუკით სკოტ ჰარტნელი ნოკდაუნდში ჩააგდო და ცხვირ-პირი ჩაუსისხლიანა, ნათელი გახდა, რომ ეს მხოლოდ გენერალური რეპეტიცია იყო.

მეორე და განსაკუთრებით მესამე პერიოდში ყინულზე ნამდვილი ომი გაჩაღდა, რომელშიც „დეტროიტის" ლიდერებიც კი ჩაებნენ. თვით სტივ აიზერმანმაც ვერ მოითმინა და ორჯერ მსაჯთან ცხარე კამათის გამო 10-წუთიანი ჯარიმები აიკიდა. ეს ენებათაღელვა უკეთ მასპინძლებმა გამოიყენეს — მეტოქის თავშეუკავებლობას რიცხვმრავლობაში გატანილი გოლებით უპასუხეს. რა გასაკვირია და, დეტროიტელები მატჩის შემდეგაც ბობოქრობდნენ. „დღეს მსაჯებმა გაგვამწარეს. აიზერმანი კაპიტანია და მას სრული უფლება აქვს, მსაჯებს დაელაპარაკოს. მათ კი ის მოედნიდან გააძევეს" — თქვა კრის ჩელიოსმა. ყველაფერმა ამან ერთობ დაჩრდილა კერტის ჯოზეფის სასეზონო დებიუტი. დომინიკ ჰაშეკის დაბრუნების გამო კუჯო ფარმკლუბში მოხვდა, მაგრამ როცა „დომინატორი" ჩაფლავდა, ისევ ძირითადში დააბრუნეს.

ჯოზეფი თავიდან კი იდგა კარგად, მაგრამ ბოლოს ვერც მან იხსნა გუნდი.

ჩიკაგო 0:1 პიტსბურგი

0:0 0:1 0:0

0:1 **კოლცოვი** (25)

სუპერმარიო ძველებურად როდი ლალობს. ახალგაზრდა, გამოუცდელი პარტნიორების გარემოცვაში მოქცეულმა მატჩში ერთი ქულაც თუ გააკეთა, ესეც აქტივში ითვლება. თუმც „პინგვინები" დროდადრო მაინც ხარობენ. წინა თამაშში ლემიემ საკარიერო მონაგარი 1700 ქულამდე დაამრგვალა და ლიგის ისტორიაში ამის მეექვსე შემძლედ შეიქნა. მან ამჯერადაც მიითვალა პასი, თუმც ყველაფერი ფაქტობრივად მისმა ახალმა პარტნიორმა, ბელარუსმა კონსტანტინ კოლცოვმა გააკეთა — მეტოქე ლამაზად მოატყუა და მეკარესაც არანაირი შანსი არ დაუტოვა.

ბუფალო 5:3 ტორონტო

2:2 2:1 1:0

1:0 **ჟიტნიკი** (7), 2:0 **კოტალიკი** (8), 2:1 **ტომი** (10), 2:2 **ფიცჯერალდი** (16), 3:2 **დრური** (29), 4:2 **შატანი** (36), 4:3 **კაბერლე** (39), 5:3 **პიპტი** (60)

რეინჯერსი 4:1 კაროლინა

1:0 2:1 1:0

1:0 **კარტერი** (19), 1:1 **ვასიჩუკი** (21), 2:1 **ლუნდ მარკი** (31), 3:1 **ნედვედი** (33), 4:1 **მესიე** (51)

ბოსტონი 0:1 მონრეალი

0:0 0:0 0:0 0:1

0:1 **ჟიუნი** (62)

ნიუ ჯერსი 3:2 ფილადელფია

0:2 2:0 1:0

0:1 **ამონტე** (10), 0:2 **განიე** (18), 1:2 **რაპი** (21), 2:2 **სტივენსი** (33), 3:2 **რაპი** (58)

ტამპა 2:2 სან ხოსე

1:1 0:1 1:0 0:0

0:1 **პრიმო** (3), 1:1 **კუბინა** (3), 1:2 **მარლო** (22), 2:2 **ანდრეიჩუკი** (46)

ოტავა 2:3 ფლორიდა

1:1 0:0 1:2

0:1 **იოკინენი** (12), 1:1 **ჰოსა** (16), 2:1 **ვარადა** (42), 2:2 **ვან რინი** (43), 2:3 **რიჩი** (48)

მინესოტა 3:2 ატლანტა

1:0 1:1 1:1

1:0 **ბრიუნეტი** (8), 2:0 **უოლცი** (32), 2:1 **კაბარლე** (36), 3:1 **კუბა** (47), 3:2 **კოვალჩუკი** (57)

ედმონტონი 4:3 კოლუმბუსი

1:1 1:1 1:1 1:0

1:0 **იორკი** (5), 1:1 **ნეში** (9), 2:1 **ბერჟერონი** (36), 2:2 **ვიბორნი** (38), 3:2 **ჯ. სმიტი** (43), 3:3 **ნეში** (56), 4:3 **ისბისტერი** (63)

ლოს ანჯელესი 1:3 ვანკუვერი

0:1 1:1 0:1

0:1 **ოლუნდი** (9), 0:2 **დ. სედინი** (29), 1:2 **ბელანეე** (35), 1:3 **მორისონი** (51)

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge